ნოემბერი
1936 წ.
№ 129

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante
Revue mensuelle
NOVEMBRE
1936—№ 129

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

ამბების მოლოდინში

ერთი კვირაც არ დარჩა იმ დღემდე, როცა საბჭოთა კავშირის ყრილობა უნდა გაიხსნას მოსკოვში, და რა საოცარი ცვლილების მოწმე ვართ! გაიხსენეთ გამარჯვების ყიჟინა, გასულ ზაფხულს, «დიდი» სტალინის კონსტიტუციის გამო, რომელიც ყრილობამ უნდა დაამტკიცოს, ათასეული «აღტაცებული» რეზოლიუციები ქვეყნის ყველა კუთხიდან, და შეადარეთ მაშინდელი «აღტყინება» დღევანდელ სამარისებურ სიჩუმეს! კონტრასტი აშკარაა, შეუდავებელი.

ხოლო რუსის მემარცხენე ემიგრაციაში, ეტყობა, იგივე აღტყინება და აღტაცება გრძელდება. 25 ნოემბერი, ყრილობის გახსნის დღე, ნამდვილ ისტორიულ თარიღად ელანდებათ მათ, მოელიან რაღაც არაჩვეულებრივ ამბებს, რამაც მათი სანუკვარი რუსეთი ფეხზე უნდა დააყენოს, გაადევგმიროს.

გამსჭვალულნი ამ მაღალი გრძნობით, ისინი განსაკუთრებული მოწოდებით მიმართვენ საკავშირო ყრილობას. ერთი ეკუთვნის რუსის მენშევიკებს, მეორე—კერენსკის ორკვირეულ «ახალ რუსეთს», და ორივენი აღგზნებული სიტყვებით მოითხოვენ ადამიანისა და მოქალაქის შელახულ უფლებათა აღდგენას.

როგორ, რა საშუალებით? არა რევოლუციურით, თავის თავად მისახვედრია, ვინაიდან, დანის განმარტებით, ეს იქნებოდა კონტრ-რევოლუცია! «დაკავშირებული ბოლშევიზმთან—ვკითხულობთ. რუსის მენშევიკების მოწოდებაში—არა მარტო საერთო წარმოშობით და მრავალ წლის ერთად მუშაობით პროლეტარიატის კლასობრივ ორგანიზაციების შესაქმნელად, არამედ სოციალისტური მიზნის ერთობითაც, რუსეთის სოციალდემოკრატია დაშორდა მას რევოლუციურ ბრძოლის მეთოდში და პროლეტარიატის საორგანიზაციო პრინციპებში». როგორც ხედავთ, საერთო მეტი ყოფილა ბოლშევიკებსა და რუსის მენშევიკებ შორის ვინემ გასაყოფი, ბრძოლა მხოლოდ «ამხანაგური» ყოფილა მათ შორის შესაძლებელი. ამიტომ ისინი მიმართვენ ყრილობის დელეგატებს, სტალინის ყურმოჭრილ ყმებს, და მათგან გამოელიან ხსნას.

მეორენი, «ახალ რუსეთის» იმპრესიონისტები, თვით «ქვეყანას» მოუწოდებენ. «უკანასკნელი თვეები—ამბობენ ისინი—საბჭოთა კავშირი უფრო და უფრო განმარტოებული ხდება. ისინი, ვინც რუსეთის დამხობაზე და დანაწილებაზე ოცნებობენ, უკვე გრძნობენ თავის ძალას, თავის გამარჯვებას... რუსეთი შედის თავის ისტორიულ არსებობის მეტად საშიშარ ხანაში». როგორ ფიქრობს ესერი კერენსკი ამ საშიშროების თავიდან აცილებას? სიტყვით, რა თქმა უნდა, «საარჩევნო ბოიკოტისაკენ» არ მოგიწოდებთო—აცხადებს ის—და მით იმავე ყმებზე ამყარებს თავის იმედებს!

განა გასაკვირია ამის შემდეგ, რომ ყოფილ რევოლუციონერების ეს უქვეშევრდომესი მოწოდებანი უდაბნოსა შინა მღაღადებელთა ხმად დარჩება? ეს ხალხი სასწაულის მოლოდინშია და ასევე დარჩებიან ბოლომდის, განმარტოებულნი. ისინი არ მიმართვენ არარუს ერებს და მართალნიც არიან, რადგან მათი «რუსეთი» იგივე ახმახი საბჭოთა კავშირია, რომლის «დანაწილებისთვის» და არა მთლიანობისთვის იბრძვიან ეს ერები.

და ეს ბრძოლა რევოლუციურია, შეუპოვარი, დაუზოგველი. მხოლოდ ამ გზით, ამ საშუალებით წაუქცევიათ დესპოტია, მოუპოვიათ თავისუფლება. ამის უტყუარი შედეგია ისიც, რომ საბჭოთა კავშირი «მეტად საშიშარ ხანაში შედის». მას ხიფათი მოელის გარედან, მაგრამ მოსალოდნელია, უფრო ადრე შიგნიდან მოევლინოს იგი!

აიღეთ მაგალითისთვის კომუნისტური «მონოლიტური» პარტია, რომელიც სტალინის კონსტიტუციის ხერხემალად, მის სულის-ჩამდგმელად უნდა გამხდარიყო,—რა ხდება მის რიგებში, კიდევ უფრო—მაღალ წრეებში? ერთმანეთს დარევიან, არ ინდობენ, არ ზოგვენ ერთმანეთს, ძმათა ჟლეტაა გაჩაღებული. ამიტომ 16 ყოფილ მეთაური დახვრეტამ უყურადღებოთ ჩაიარა—მოგვითხრობენ იქიდან მოსული ცნობები—, საბჭოთა მოქალაქენი გულგრილად, სიხარულითაც უცქერიან ყოველდღიურ უფრო მრავალრიცხოვან დახვრეტებს მთელს კავშირშიო; განა ცოტა დახოცეს ჩვენები, რამდენი მილიონი, ეხლა ცოტა თავისიანებიც ამოსწყვიტონ, ჯავრი იყაროს ჩვენთვისო!—ამბობენ ისინი.

რაა მახლობელი მიზეზი ამ ამბებისა? არა იდეური, პრინციპიალური უთანხმოება, თავის თავად ცხადია. ოპოზიციური გამოსვლები, მარჯვნიდან თუ მარცხნიდან, უკვე წარსულს ეკუთვნის; ტროც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიზმიც, რამდენად სახეში გვაქვს საბჭოთა საზღვრები, უბრალო მომიზეზებაა არასასურველ ელემენტების მოსასპობად. ან კი ვის შეუძლია დღეს სტალინის სახელმწიფოში კრინტი დასძრას რაღაც იდეურ განსხვავებაზე! პირიქით, სამარისებური სიჩუმეა ყველგან გამეფებული, თვით კრემლის კედლებს შუა წარჩინებულნიც ვერ ბედვენ ერთმანეთს გამოეხმაურონ, ბელადის ყური ერთობ განიერია, კანკალებენ, არ ჩაეწვეთოს...

არა, მიზეზი უფრო ბანალურია, ნივთიერი, ქიშპობა თფილ ადგილებზე, გავლენაზე. ყველას ახსოვს, სტალინმა კარგა ხანია აღმოაჩინა ახალი კატეგორია თავდადებულთა: «უპარტიო ბოლშევიკები» ანუ «ზნატნები», ვინც ყელამდე დაინტერესებულია რეჟიმის და მის მეთაურის სიცოცხლეში. ფასობს არა პარტიული ბილეთი, არამედ ერთგულობა ბელადისადმი. და თუ პარტიასაც რამე ადგილი უჭირავს კონსტიტუციაში, ეს მხოლოდ იმდენად, რამდენად ერთგული და უსიტყვო ამსრულებელი დარჩება, რასაც დიქტატორი ბრძანებს.

დგება წუთი, როცა დუალიზმი უნდა გაჰქრეს: ან პარტია, ან სახელმწიფო—აი როგორა სდგას კითხვა. ახალი კონსტიტუციის დედა-აზრი იმაში მდგომარეობს, რომ «უკლასო სოციალისტური» სახელმწიფო ვერ ითმენს პარტიულ თვითნებობას, ყველანი, პარტიულნი და უპარტიონი გათანასწორებულნი არიან უუფლებობაში, მონობაში, მათზე გაბატონებულია დიქტატურა არა «პროლეტარიატისა», არამედ პიროვნული, თვით ბელადის, რომლის სიტყვა უზენაესი კანონია, ხოლო საქმე—მიუღწეველი გმირობა.

ჯერ არ ვიცით, მაგრამ ყრილობა გვაჩვენებს, მოისურვებს თუ არა სტალინი პარტიიდან სახელმწიფოში გადაბარგდეს, ჩაუდგება თუ არა უკანასკნელს ფორმალურად სათავეში, როგორც უკვე უდგას ფაქტიურად. ან შეიძლება ის დარჩეს პარტიის სულიერი მამაც და სახელმწიფოს ძლევამორჭმული, როგორც ოდესმე წითელი სულთანი და ხალიფი. ყოველ შემთხვევაში, სასწორი სულთანისკენაა გადახრილი, ხმალი ან უკეთ ნაგანი სწყვეტს კითხვას, გეპეუ ანადგურებს პარტიას და იქ ხომ სტალინმა ეჭვიც ჩააყენა, მაშასადამე, პარტიიდან სახელმწიფოს სამსახურში.

მაგრამ სახელმწიფოს მარტო გეპეუ ვერ უშველის, საჭიროა სამხედრო ძალა და ის ეხლა ხომ გადამწყვეტ როლსაც თამაშობს. როცა დიქტატურა დესპოტიურ ტეროორისტულ სახეს იღებს, რომლის წინაშე ყველა და თვითეული თრთის, ცხადია, ჯარი მის დასაყრდნობ ძალად უნდა იქცეს. მაგრამ ამის უზრუნველყოფა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ბელადი თვითონ გახდება მისი მთავარი სარდალი და მთელს მხედრობას თავის უშუალო კონტროლს დაუმორჩილებს. ტყუილა არ ატარებს სტალინი ფარაჯას, იქნება ესეც იკისროს! თუ არა, მაშინ სამხედრო დიქტატურა მის გარეშე თითქო გარდაუვალი ხდება და აქედან მთელი კონსტიტუცია და მასზე აგებული ხელისუფლება საპნის ბუშტს დაემზგავსება.

ეს მით უფრო, რომ სწორედ სამხედრო ძალაა დღეს მოწოდებული, სძლიოს ის საბედისწერო ხიფათი, რომელიც საბჭოთა კავშირს ემუქრება გარედან. სტალინის ორმაგმა პოლიტიკამ უკვე მოიტანა თავისი ნაყოფი. მრისხანე ანტიკომუნისტური ბლოკი სამი დიდი იმპერიისა—გერმანია, იაპონია, იტალია—უკვე ხალასი ფაქტი ხდება.

ომისათვის თითქო საბაბიც მონახულია: ისპანიის სამოქალაქო ომი, რომლის ნაკვერჩხალი შეიძლება დასავლეთში დაგროვილ თოფის წამალს დაეცეს. ეს იქნებოდა უკნანასკნელი შანსიც მოსკოვისთვის, რადგან ამ შემთხვევაში საფრანგეთი და მისი მოკავშირენი, აგრეთვე ინგლისიც, უნდათ არ უნდათ, მის მხარეზე დაირაზმებოდენ. ვინ არ იცის, ლონდონის ჩაურევლობის კომიტეტი უბრალო ფარსი გამოდგა: ერევიან, ვისაც არ ეზარება. მეორეს მხრით, ახალი ლოკარნო თანდათან ბურუსში ეხვევა. თუ ომს ვერ ავიცდენ, რამდენად უფრო ხელსაყრელია «დემოკრატიული ბლოკი» ჩემს გვერდით იყოსო—სწორად მსჯელობს მოსკოვი.

მაგრამ მას მეორე საიდუმლო ზრახვაც ასულდგმულებს. მეორე დიდი ომი ნამდვილი მეხი იქნებოდა დასავლეთისთვის, ხალხები ვერ აიტანდენ მის სიმძიმეს და საგარეო ომი საშინაო ომად იქცეოდა! ხოლო სამოქალაქო ომი სანატრელი ნიადაგია ბოლშევიზმის ექსპანსიისათვის. ამიტომ კომუნისტურ პარტიის უბრალო მოხელეთა ხროვად ქცევაშინ, კიდევ არ ნიშნავს მის და კომინტერნის თარეშის ალაგმვას გარედ. ისინი გააგრძელებენ მეორე ინტერნაციონალის და მის ზოგიერთ სექციების თვალის ახვევას, ხალხსნურ ფრონტების წახალისებას და სხ., რითაც ძალზე აახლოვებენ კონფლიქტს ანტიკომუნისტურ ბლოკთან.

როგორც ხედავთ, საერთაშორისო ვითარება თან და თან მწვავდება, იხლართება და ომის აჩრდილი ყველას თვალწინ უდგას. აი რა დროს იკრიბება საბჭოთა უკანასკნელი ყრილობა. ის, როგორც ჩვეულებრივ, «კაზიონი» იქნება გარეგნულად, სიტყვები და რეზოლუციები წინასწარ შეთითხნილია ბელადის სამზარეულოში, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ კრემლი აცდება ნაწილად მის მიერ გამოწვეულ, კარზე მოწოლილ ქარტეხილის გავლენას. რა ითქმის სცენიდან ერთია, ხოლო რა მზადდება კულისებში—მეორე.

სტალინმა უკვე აიღო ხაზი, სპობს მეტოქეთ—პროცესები და გაუსამართლებელი ხვრეტანი ამის მაჩვენებელია—, მაგრამ კიდევ დარჩენ ისინი, განსაკუთრებით სამხედრო მაღალ წრეებში. ტეროორი და სამარისებური სიჩუმე, რომელსაც ხმელეთის მეექვსედი მოუცავს, კარგის მომასწავებელი არ არის. საცაა გასკდება, ან შეიძლება ტოტალურ სახელმწიფოს, პირწავარდნილ სამხედრო დიქტატურის წინა დღეებში ვცხოვრობთ.

დღევანდელ მომენტის რევოლუციური ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეს არ მოხდეს. რუსის გლეხობაზე დაყრდნობილი სამხედრო დიქტატურა განუზომელ საშიშროებას წარმოადგენს არარუს ერებისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა ლიგის კრება და კავკასიის ერები

მემორანდუმი კავკასიის პრობლემისათვის

(დასასრული)

კავკასიის საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო თვალსაზრისით. კავკასიის ისტმი წარმოადგენს ყველაზე უფრო მოკლე და იოლს გზას ევროპასა და ცენტრალურ აზიას შორის. ჯერ კიდევ ძველად იყო იგი გზა-ჯვარედინი სხვადასხვა ერების შესახვედრად, მათი ნაწარმოებების ერთიმეორეზე გადასაცვლელად და აღმოსავლეთ-დასავლეთის ცივილიზაციის დასაკავშირებლად. ერთი პრივილეგიური მდებარეობა, რომელიც აკავშირებს კავკასიას ერთი მხრით შავი ზღვით და სრუტეებით ხმელთა შუა ზღვასა და ოკეანებთან და მეორე მხრით კასპიის ზღვით და რკინის გზებით თურქეთთან, სპარსეთთან და სხვებთან, მისცემდა მას საშუალებას ახლაც განეგრძო თავისი როლი ორი ხმელეთის შემაერთებელისა, რომ წინ არ გადაღობებოდა წითელი იმპერიალიზმი და არ მოეწყვიტა იგი დანარჩენ ქვეყნიერებას.

საჯოთა რეჟიმის დამყარებამდე, იმპერატორთა რუსეთმა ხელი დაადვა კავკასიას არა მარტო მისი ბუნებრივი სიმდიდრისათვის, რომელიც თვითონაც ბევრი მოეპოვებოდა, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ უნდოდა მისი გამოყენება პლაცდარმად თავის ექსპანსიისათვის მცირე და ცენტრალურ აზიაში. მაგრამ რუსეთი მიხვდა, რომ საკომერციო სფეროში დასავლეთს კონკურენციას ვერ გაუწევდა, და გადაწყვიტა ამ კავკასიის დიდი სატრანზიტო გზის დაკეტვა. ამან გამოიწვია ის, რომ ძველმა დიპლომატიამ აიძულა რუსეთი 1878 წ. ბერლინის ხელშეკრულობით ბათუმში თავისუფალი პორტი დაეწესებია. ხოლო რუსეთმა 1886 წ. ეს წესი გააუქმა და დიდი საბაჟო გადასახადების საშუალებით სრულებით დაკეტა მაინც ეს ნავთსადგური ევროპიულ საქონლისათვის.

ამგვარ საბაჟო პოლიტიკის მიზეზით კავკასია, სპარსეთი, თურქისტანი, ბუხარა და ცენტრალურ აზიის სხვა ქვეყნები მოწყვეტილნი არიან დიდს ევროპიულს ბაზარს და ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და სხ. უკეთეს ღირსების და უფრო მისაწდომ ფასების ნაწარმოების ნაცვლად ხსენებული ქვეყნები რუსეთმა აავსო თავის მდარე ღირსების და ძვირის საქონლით. ამავე დროს მძიმე საექსპორტო პირობებისა გამო ევროპის სახელმწიფოებმა თითქმის სრულიად გაანებეს თავი პირველსაჭიროების საგნების გამოტანას კავკასიიდან და ცენტრალურ აზიიდან.

როდესაც ევროპის სახელმწიფოები მოიპოვებენ კალონიებს, იყენებენ მათ ბუნებრივ სიმდიდრეს და აწყობენ აქტივურ გაცვლა-გამოცვლას მეტრაპოლსა და კალონიებს შორის, რუსეთმა კი, რომელიც უყურებდა ძველი ცივილიზაციის და დიდი სიმდიდრის კავკასიას, როგორც თავის კალონიას, სრულებით ვერ შესძლო ასეთი სარგებლობა მოეტანა მისთვის.

მაგალითად რუსეთი არ დაინტერესდა კავკასიის ქვა ნახშირით, რადგან თვითონაც ბევრი ჰქონდა ჩრდილოეთში; არ ესაჭიროებოდა მარგანეცი, რომლის მილიონი ტონი გადიოდა ევროპასა და ამერიკაში და რუსეთი კი ათას ტონს ძლივს ხარჯავდა; იგი ყურადღებას არ აქცევდა სპილენძის, რკინის და სხვა მადნეულობის ექსპლოატაციას და თუ ცოტა რამ გაკეთდა ამ დარგში, ფრანგების, გერმანელების და ინგლისელების წყალობით; რუსეთმა ვერ გამოიყენა კავკასიის მდიდარი ტყეები, რადგან კაპიტალების უქონლობისა გამო საკუთარ ტყეებსაც ვერ სარგებლობდა; ხელს არ უწყობდა აბრეშუმის წარმოებას, რომელიც თითქმის სულ ევროპიელებს, განსაკუთრებით იტალიელებს და ფრანგებს გაქონდათ; არა გაკეთებულა რა თეთრი ნახშირის გამოსაყენებლად, რომლის გამოსავალი ძალიან დიდია.

ერთი საუკუნის ისტორია ნათლად გვიჩვენებს, რომ რუსეთი არა თუ ეხმარებოდა კავკასიას, არამედ პირიქით, სთვლიდა მას კონკურენტად ზოგიერთ დარგში და ყოველნაირად აბრკოლებდა მის ეკონომიურ და კომერციულს განვითარებას.

რუსეთს არ ჰქონდა თანხები და არ შეეძლო რამე დაეხარჯა კავკასიაზე. ცნობილია მაგალითად, რომ რუსეთის კომერციულ ბანკების სათადარიგო ფონდები 1914 წ. უდრიდა 585 მილ. ოქროს მანეთს და ამაში 434 მილ., ე. ი. 74 პროცენტი ეკუთვნოდა ფრანგებს, გერმანელებს და ინგლისელებს; სამეტალურგიო ინდუსტრიაში 439 მილიონიდან 346 მილ. ე. ი. 87,9 პროც. იმყოფებოდა უცხოეთის ბანკების კანტროლს ქვეშ; ქვა-ნახშირის წარმოებაში 199 მილიონიდან 149 (75 პროც.) იყო უცხოელების, ბაქოს ნაფთისაში 272 მილიონიდან 288 მილ. (82 პრ.) ეკუთვნოდა ამავე უცხოელებს და სხ.

საგულისხმიეროა, რომ რუსეთს თითქმის არავითარი კაპიტალი არ ჰქონდა ჩადებული კავკასიაში, მაგრამ სხვადასხვა სახით დიდს სარგებლობას ღებულობდა იქ დაბანდებულ უცხოურ კაპიტალებისაგან. კიდევ მეტი, კავკასია ფინანსურად აძლევდა რუსეთს მეტს, ვიდრე მას ეღირდა. აი შემოსავალის და ხარჯების ციფრები მარტო ამიერ-კავკასიისთვის უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში დიდ ომამდე:

1911 წ.	შემოსავალი	88.974.000.	ხარჯები 82.568.000.
1912 წ.	,,	95.900.000.	,, 94.431.000.
1913 წ.	,,	110.484.000.	,, 103.438.000.

თუ ასე მძიმედ აწვა წარსულში რუსეთის უღელი კავკასიის ერებს, როგორ-ღა უნდა იყოს მათი მდგომარეობა ახლანდელი რეჟიმის დროს! მოსკოვის ხელისუფლებამ პირდაპირ კონფისკაცია მოახდინა ყველა სიმდიდრის და ყოველი წარმოების და მონებად გადაქცეულ მცხოვრებლებს არ გააჩნიათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავითარი კერძო საკუთრება და არ შეუძლიათ გამოიჩინონ რაიმე ინიციატივა ან ეკონომიური მოქმედება.

—

ეს მოკლე მიმოხილვა კავკასიის მდგომარეობისა გეოგრაფიული, ეკონომიური და პოლიტიკური თვალსაზრისით აშკარად ამტკიცებს, რომ კავკასიის ერებს აქვთ სრული შესაძლებლობა, იარსებონ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და მიიღონ მონაწილეობა ორივე კონტინენტის ქონებრივ-გონებრივ განვითარებაში.

მაგრამ დამოუკიდებელ კავკასიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მშვიდობიანობისათვის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთის იმპერიალიზმი ყოველთვის იყენებდა და დღესაც იყენებს კავკასიას მდაბალ ინტრიგებისა და დამპყრობ ომებისათვის მცირე და ცენტრალურ აზიაში. ცხადია, რომ დამოუკიდებელი კავკასია იმავე როლს შეასრულებს ქვეყნის ამ ნაწილში, როგორსაც ასრულებს ევროპაში შვეიცარია. თავის ბუნებრივ სიმაგრეების და მამაცი მეომარი ხალხის წყალობით კავკასია შესძლებს დაიცვას საყოველთაო მშვიდობიანობა და ემსახუროს მის საქმეს.

თუ მივიღებთ მხედველობაში კავკასიის მკვიდრთა საერთო რიცხვს 10 მილიონს, ამის მიხედვით კავკასიის ოთხ რესპუბლიკას შეუძლიათ მშვიდობიანობის დროს გამოიყვანონ ასი ათასი კარგი მეომარი, ხოლო ომის დროს ერთი მილიონი. ამ რაოდენობის გადიდება შეიძლება საჭიროების მიხედვით.

მეფეთა რუსეთის ბატონობის ქვეშ მყოფ ერებში ზოგს უკვე აღდგენილი აქვს თავისი სუვერენობა, დანარჩენებიც უცდიან, რომ მათი დროც მოვა აუცილებლად, რადგან დაჩაგრული ერები დაუნდობლად განაგრძობენ ბრძოლას თავისუფლებისათვის. სახელმწიფოებს და მთავრობებს, რომელთაც საჯაროდ გამოაცხადეს ერთა თვითგამორკვევის პრინციპი, არ შეუძლიათ გამონაკლისი დაუშვან საბჭოთა კავშირისათვის, რომლის მართველობა ემყარება ძალადობას და ტერორს. მრავალი ფაქტია იმის მაჩვენებელი, რომ სახელმწიფოები არ უყურებენ ინდიფერენტულად წითელ ჯარების მიერ კავკასიის რესპუბლიკების ოკუპაციას, რომელთა დამოუკიდებლობა თვით იცნეს.

ბენუის და ლოზანის საერთაშორისო კონფერენციებზე, მაგალითად, მოსკოვის დელეგაციას არ მისცეს უფლება კავკასიის ერების წარმომადგენლობისა. ლოზანის ხელშეკრულობით გათვალისწინებულ სრუტეების საკონტროლო კომისიაში (პარაგ. 10, მუხ. 3) ადგილები შეენახათ საქართველოს და უკრაინას, როგორც შავი ზღვის სანაპირო სახელმწიფოებს.

1922 და 1924 წ. ერთა ლიგის მესამე და მეხუთე საერთო კრებებმა გამოიტანეს დადგენილება, რომელიც ამბობს: «კრება მოუწოდებს საბჭოს ყურადღებით ადევნოს თვალი ქვეყნიერების ამ კუთხის (საქართველოს) ამბებს, რათა ისარგებლოს ყოველივე შემთხვევა, რომელიც კი მიეცემა, და დაეხმაროს მშვიდობიანის ზომებით და საერთაშორისო უფლების წესების თანახმად ამ ქვეყანას ნორმალურ მდგომარეობის დასაბრუნებლად».

ინგლისმა და საფრანგეთმა რომ ს. ს. რ. კავშირი იცვნეს, თავიანთ აქტებში გააკეთეს რეზერვი, რომ სცნობენ ს. ს. რ. კავშირს, «როგორც მთავრობას de jure რუსეთის ყოფილ იმპერიის იმ ტერიტორიებზე, რომლებიც აღიარებენ მის ხელისუფლებას» (ინგლისური ტექსტი), «სადაც მისი (მთავრობის) ხელისუფლება მიღებულია მკვიდრთა მიერ» (ფრანგული ტექსტი).

თვით ს. ს. რ. კავშირის კონსტიტუცია—თუმცა იგი სინამდვილეს არ ეთანხმება—ემყარება ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, რომლის ძალით ყოველ ერს, რომელიც შესულია კავშირში, შეუძლია თავის ნებით გავიდეს იქიდან, როდესაც მოისურვებს (პარაგრ. 4). ეს პრინციპი მიღებულია ახალი კონსტიტუციის პროექტშიც. ამიტომ სიტყვიერად საბჭოთა კონსტიტუცია ერების უფრო თავისუფალი კავშირია, ვიდრე ფედერაცია ან კონფედერაცია, სადაც გასვლის უფლება შეზღუდულია.

ზემო ნათქვამს მნიშვნელოვანი დასკვნა უნდა გაუკეთდეს: ს. ს. რ. კავშირის დამონებულ ერების საკითხი სრულებით არაა შინაური საქმე, ამიტომ სომხეთს, აზერბაიჯანს, ჩრდილო კავკასიას და საქართველოს უფლება აქვთ, მიმართონ სახელმწიფოებს და მთავრობებს მათი სუვერენობის აღდგენისათვის «მშვიდობიანი გზებით და თანახმად საერთაშორისო უფლების წესებისა», როგორც ეს გამოაცხადა საქართველოს მიმართ ერთა ლიგის 50 წევრმა —სახელმწიფომ.

კავკასიის ერები თავის საქმის გამარჯვებას ამყარებენ თავიანთ ძალასა და მუშაობაზე, თავიანთ კავშირზე დამოუკიდებლობისა და კონფედერაციის დროშის ქვეშ.

ეს ერები ცდილობენ, გამონახონ ძმური მეზობლობის საშუალებანი და პირდაპირი თანამშრომლობის, რომელიც უზრუნველყოფს თითეულის მათგანისათვის სრულს ეროვნულ განვითარებას და ყველასათვის საგარეო უშიშროებას.

კონფედერაციის პაქტი, რომელიც თავის დროზე წარედგინა სახელმწიფოთა მთავრობებს და ერთვის ამ მოხსენებას, წარმოადგენს კავკასიის ერების ძმური თანამშრომლობის იურიდიულს ბაზას. ერთი პოლიტიკური და საბაჟო საზღვარი, ერთი დიპლომატიური წარმომადგენლობა, ერთი სარდლობა და სავალდებულო არბიტრაჟი სადავო საკითხებისათვის—აი მთავარი დებულებანი კავკასიის მომავალი კონფედერაციისა.

ახლო წარსულის მწარე გაკვეთილებით გამოცდილნი, წმინდა კავშირში თავმოყრილ შვილების გმირულ აქტებით გამხნევებულნი, კავკასიის ერები განაგრძობენ განმათავისუფლებელ ბრძოლას თავიანთ დამოუკიდებლობის აღსადგენად და დარწმუნებულნი არიან, რომ მათ ბრძოლას უფლებისა და სამართლისთვის შეეგებება განათლებული კაცობრიობის დახმარება და თანაგრძნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჩაგრული ერების მიმართვა

ერთა ლიგის მე-17 კრების თავმჯდომარეს

ბ. თავმჯდომარე. გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი დღეს ყოველ ღონეს ხმარობენ მშვიდობიანობის დასაცავად და იმ საკითხების გადასაჭრელად, რომელნიც ერებს ერთმანეთს აშორებენ, ამ დროს ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია, თქვენი აღმატებულების ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ შეუძლებელია ხსენებული საკითხების გადაწყვეტა აღმოსავლეთ ევროპაში, თუ მხედველობაში არ იქნა მიღებული ჩვენი ერების მდგომარეობა და ინტერესები. ამ ხანად ეს ერები საოკუპაციო ხელისუფლების წყალობით მოწყვეტილნი არიან საერთაშორისო მოქმედებას, ხოლო მათი მტკიცე გადაწყვეტილება დაიბრუნონ თავისუფლება და ურყევი ბრძოლა დამჩაგვრელის წინაამდეგ ამტკიცებს, რომ ისინი არ ჰკარგავენ ღონეს და შესძლებენ, რომ მთელმა ქვეყნიერებამ იცნოს მათი მისწრაფება დამოუკიდებლობისა და სამართალის.

ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ ერთა ლიგის რეფორმის საკითხის განხილვის დროს მიღებული იქნება ის პრინციპი, რომ ეს მაღალი დაწესებულება არ იქნეს ერთსა და იმავე დროს ზოგი ერის დამოუკიდებლობის დამცველი და ზოგის დამონების თავმდები. გვინდა ვირწმუნოთ, ერთა ლიგა, რომელიც გამსჭვალულია მთელ დედამიწაზე მშვიდობიანობის დამყარების აზრით, არ დაივიწყებს ამასთანავე მაღალს მიზანსაც, რომ ერთა შორის დამკვიდრდეს სამართალი.

1934 წ. ერთა ლიგაში ს. ს. რ. კავშირის მიღებამ საუბედუროდ აშკარად დაუპირისპირა ლიგა საკუთარ პრინციპებს. თუ ზოგიერთის კეთილშობილური ხმა თვით ლიგაში გამოეხმაურა ჩვენი ერების პროტესტებს ჩვენი დამჩაგვრელის ერთა ლიგაში მიღების წინაამდეგ, დანარჩენი წევრები ფიქრობდენ, რომ ს. ს. რ. კავშირის ლიგაში მიღებით აიძულებდენ მას, მშვიდობიანი საშუალებით დაეკმაყოფილებია დაჩაგრული ერები. 1935 წ. სექტ. 19 ს ქვემო ხელის მომწერლებმა ლიგის მეთექვსმეტე კრების ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ მოსკოვს ოდნავად არ შეუცვლია თავისი რეჟიმი ჩვენი ერების მიმართ, თუმცა ღა ერთი წელიწადია ლიგის წევრად ითვლება. ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ ჩვენი ერების მდგომარეობა პირიქით უფრო გაუარესდა. დღეს 1936 წ. ეგევე უნდა განვიმეოროთ მეტის დაჟინებით.

თუ მასობით არ წყდება სიმშილისაგან ხალხი ს. ს. რ. კავშირში, როგორც 1933-34 წლ., მაინც მთელი იქაური მოსახლეობის მდგომარეობა სრულებით ნორმალური არაა, განსაკუთრებით შეუძლებელია დაჩაგრული ერების მდგომარეობა ან სულიერი ან ქონებრივი შევადაროთ დასავლეთის ან ცენტრალურ ევროპის რომელიმე ქვეყნის მოსახლეობის მდგომარეობას. ვისაც უნდა ირწმუნოს დამშვიდება ს. ს. რ. კავშირში, იგი გვერდს ხომ ვერ აუქცევს ისეთ დიდს მოვლენას, როგორიც იყო პროცესი 16 ბოლშევიკის—ზინოვიევის, კამენევის და სხ., რომელთაც დააბრალეს მონაწილეობა თვით სტალინის წინაამდეგ მიმართულ ტეროორისტულ მოქმედებაში, სიკვდილი მიუსაჯეს და დახვრიტეს კიდეც. იმ ადამიანების ასეთმა დასჯამ, რომლებიც ერთ დროს ყოვლის შემძლებელნი იყვნენ ს. ს. რ. კ-ში და წევრები პირველი «პოლიტ-ბიუროსი» ლენინის თავმჯდომარეობით, საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ მსოფლიოში, რომელიც უკვე იწყებს იმის მიხვედრას, რომ ამ რეჟიმს, მიუხედავად მისი 19 წლის არსებობისა, მხოლოდ ტეროორი ამაგრებს. მოსკოვის მესვეურები, რომელნიც ყველგან სოციალურ არევდარევას და უკიდურესად გამწვავებულს სამოქალაქო ომს იწვევენ, თავის გუშინდელ ამხანაგების წინაამდეგ მიმართავენ იმავე მეთოდებს, როგორც სხვა ქვეყნების «ბურჟუაზიის» წინაამდეგ. ამ ბარბაროსული აქტით მოსკოვს უნდოდა ეჩვენებია საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობისთვის, რომ ასეთივე სიმკაცრით იქნება ჩახჩობილი ყოველი წინაამდეგობა და ამბოხება. ამ დახვრეტებს მოყვა მასიური დაჭერები და დატუსაღებანი როგორც უკრაინაში, ისე კავკასიასა და თურქისტანში. მიუხედავად დრაკონულ ზომებისა, ამბოხების მოვლენებს ადგილი ჰქონდა საბჭოთა სხვადასხვა ნაწილებში, განსაკუთრებით უკრაინაში. საბჭოთა პრესა თვითონ აღნიშნავს შეთქმულობას კომუნისტურ პარტიის ორგანიზაციებსა და მთავრობის დაწესებულებებში. ამგვარად სტალინს, რომელსაც ტეროორის ქვეშ ჰყავს მთელი ხალხი, ტეროორით ემუქრება მოძრაობა, მიმართული როგორც მისი პიროვნების, ისე თვით კავშირის არსებობის წინაამდეგ.

მაგრამ რათა დააძინოს ერთა ლიგის სინდისი და დააწყნაროს ს. ს. რ. კავშირის მოსახლეობის სიძულვილი, სტალინმა გამოაქვეყნა საბჭოთა ახალი კონსტიტუციის პროექტი. ეს პროექტი დიქტატორის ხელქვეითებმა გამოაცხადეს «ყველაზე უფრო დემოკრატიულად დედამიწაზე». ჩვენ არ შევუდგებით აქ ამ დოკუმენტის საზოგადო განხილვას, ხოლო არ შეგვიძლია ზემო ნათქვამს არ დავუპირდაპიროთ ერთი ფაქტი, რომ პროექტი აბატონებს მარტო ერთს პარტიას, კომუნისტურ პარტიას (იხ. პარაგ. 126 და 141), რომელსაც ს. ს. რ. კავშირის არც ერთ კუთხეში არა აქვს არავითარი მორალური ავტორიტეტი და რომლის გავლენა ემყარება მხოლოდ გეპეუს ტეროორს. პროექტი სპობს ყოველს ოპოზიციას და ამით სრულიად საეჭვოდ ხდის ყველა მის მიერ გამოცხადებულ თავისუფლებას, რომლებიც ქაღალდზე დღესაც არსებობენ საბჭოთა რესპუბლიკებში. «მუშათა და გლეხთა ქვეყანაში» გაფიცვაც კი აკრძალულია და ახალს კონსტიტუციას ამ მხრივ არავითარი ცვლილება არ მოაქვს: «მუშათა და გლეხთა» მთავრობა წარბშეუხრელად გაგზავნის ციმ-

ბირში მუშებს, რომელნიც განიზრახავენ გაფიცვის მოწყობას.

ხოლო ჩვენთვის მთავარია, ითვალისწინებს თუ არა ახალი კონსტიტუცია რაიმე ცვლილებას იმ ქვეყნების მდგომარეობაში, რომლებიც იმყოფებიან მოსკოვის სამხედრო ოკუპაციის ქვეშ. ჩვენ შეგვიძლია გადაჭრით ვსთქვათ, რომ ვიდრემდა თავისუფალ რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტი ამყარებს სასტიკს ცენტრალიზაციას და სრულიად უქვემდებარებს ჩვენს ერებს მოსკოვის ხელისუფლებას.

დავასახელებთ მარტო უმთავრეს ფაქტებს: თუ დღეს ს. ს. რ. კავშირის აღმასრულებელ კომიტეტში წარმოდგენილია ყველა შვიდივე რესპუბლიკა, რომლებიც შეადგენენ კავშირს, ახალი კონსტიტუციის «უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი», რომელიც ნამდვილად იქნება მართველი კავშირისა, ისეთნაირადაა შედგენილი, რომ არავითარი გარანტია არ ექლევათ წევრ-რესპუბლიკებს, იყოლიონ იქ თავიანთი წარმომადგენლები. პროექტი აუქმებს კომისარიატების მეტ წილს, რომლებიც დღეს არსებობენ ცალკე რესპუბლიკებში. ამ რესპუბლიკებს უტოვებენ მხოლოდ ოთხს უმნიშვნელო კომისარიატს, რომლებიც არსებითად უნდა ემორჩილებოდენ ცენტრალურს ხელისუფლებას.

გამგებლობა, განაწილება და შეკრეფა გადასახადებისა პროექტით ეკუთვნის მხოლოდ ცენტრალურ მართველობას, რაიც რასაკვირველია მეტად საზიანოა ცალკე რესპუბლიკებისთვის. მთელი საგარეო კომერცია და სამრეწველო და სავაჭრო გეგმები გადაცემულია მოსკოვზე. თვით სოფლის მეურნეობა —ეს არსებითი ნერვი საბჭოთა ქვეყნების—, სასურსათო პროდუქტების განაწილებაც მოსკოვის ხელშია მოქცეული.

ყველაფერი ეს უსპობს კავშირის ცალკე რესპუბლიკებს თვით მათი არსებობის საფუძველს, რაიც საბოლოოდ გადააქცევს კავკასიას, თურქისტანს და უკრაინას მოსკოვის კალონიებად. ის საბატონო როლი, რომელსაც ანიჭებს ახალი კონსტიტუცია კომუნისტურ პარტიას, კიდევ მეტად ამყღავნებს პროექტის ცენტრალისტურ მისწრაფებებს: კავშირის ერთად ერთი და ყოვლის შემძლებელი პარტია, რომელიც ექვემდებარება ერთს მეთაურს, სტალინს, ნებას მისცემს მოსკოვს, ერთის რკინის ხელით მართოს ყველა დაკავებული ქვეყანა—კავკასია, თურქისტანი და უკრაინა, დაუმორჩილოს ცენტრალისტურ წესწყობილებას სხვა ერებიც, რომლებიც აგრეთვე მიისწრაფვიან თავისუფლებისაკენ—ვოლგის, ურალის და ყირიმის თათრები, თეთრი რუსები, კორელიელები, ყაზახები. ყველა ეს ერი, რომელთა რიცხვი თვით საბჭოთა სტატისტიკით შეადგენს ს. ს. რ. კავშირის მოსახლეობის ნახევარს, იძულებულია დაიცვას არა თუ თავისი პოლიტიკური და ეკონომიური თავისუფლება, არამედ ჩამოაშოროს დამჩაგვრელის ხელი ყველაფერს იმას, რაც წმინდათა-წმინდას წარმოადგენს ყოველი ერისათვის: სარწმუნოებას, ეროვნულ ტრადიციებს და თვით სულს ერისას—ენას, რომლის გადამახინჯებას ყოველი საშუალებით ცდილობენ მოსკოველი ბატონები.

ამრიგად, წინაამდეგ ბოლშევიკების პროპაგანდისა, მოსკოვის მიერ დაჩაგრულ ერების მდგომარეობა სრულებით არ გამოცვლილა. ეს ერები განაგრძობენ ბრძოლას განთავისუფლებისათვის. უცხოეთის სახელმწიფოები ამძიმებენ იმ ბორკილებს, რომლებიც მოსკოვმა დაადვა ჩვენს ქვეყნებს, როდესაც მხარს უჭერენ ს. ს. რ. კავშირის მთლიანობას, ამაგრებენ ახლანდელ მდგომარეობას, ეხმარებიან მოსკოვს ფინანსურად თუ სხვაფერ. განა ერთა ლიგას შეუძლია დაუშვას ესეთი ვითარება, ეს ეთანხმება განა კოვენანტის პრინციპებს?

ამ სამწუხარო მდგომარეობიდან ერთად ერთი გამოსავალია ის, რომ შესრულდეს ს. ს. რ. კავშირის ახლანდელი კონსტიტუციის მეოთხე პარაგრაფი ან ახალის—მეჩვიდმეტე: ეს პარაგრაფები თავისუფლებას ანიჭებენ ცალკე რესპუბლიკებს, თავის ნებით გავიდნენ კავშირიდან. ცხადია, დღევანდელ პირობებში დაჩაგრულ ერებს არ შეუძლიათ ამის განხორციელება. ხოლო უნდა მოეწყოს ისე, რომ კავკასიის, თურქისტანის და უკრაინის ერებს ექნეთ საშუალება თავისუფლად გამოსთქვან თავისი აზრი თავიანთ ბედის შესახებ. ამნაირად შეიძლება მხოლოდ თავიდან აცდენა იმ სისხლიანი ომისა, რომელიც ადრე თუ გვიან იფეთქებს დამჩაგვრელთა და დაჩაგრულთა შორის. თუ მოსკოვის ხელისუფლება ფიქრობს, როგორც ამას გაიძახის, რომ ეს ერები ბედნიერები არიან და გულწრფელად უერთდებიან მოსკოვს, მაშინ რისიღა უნდა შეეშინდეს.

ესეთი მეთოდი ნაწილობრივად გამოასწორებდა იმ მორალურად სახიფათო მდგომარეობას, რომელშიაც ჩავარდა ერთა ლიგა საბჭოების მიღების შემდეგ. ამ გზით შეუძლია მხოლოდ ერთა ლიგას დაამყაროს მშვიდობიანობა სამართლიანი, ე. ი. ჭეშმარიტი, ვინაიდგან ყოველი უსამართლო მშვიდობიანობა შეიცავს მომავალი ომის ჩანასახს. რათა ხელი შეუშალოს უკრაინას, კავკასიას და თურქისტანს დაიბრუნონ თავისუფლება, მოსკოვი ხელს უწყობს ომს და აბრკოლებს ევროპის სახელმწიფოების ესოდენ სასურველს შეთანხმებას. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ერთა ლიგა ახალი ენერგიით გაამაგრებს ერთა თავისუფლების პრინციპს და არ მოაკლებს მორალურ დახმარებას იმ ქვეყნებს, რომლებიც გმირულად იბრძვიან თავიანთ თავისუფლებისათვის.

ხელს აწერენ: მირ იაკუბ, ყ. თავმჯდომარე აზერბაიჯანის დელეგაციისა; შახმანი—ჩრდილო კავკასიის ყოფილი მთავრობის წევრი; აკ. ჩხენკელი, საქართველოს ყ. ელჩი საფრანგეთში; ჩოკაი—თურქისტანის ეროვნულ კავშირის დელეგატი; ა. შულგინი—ყ. წარმომადგენელი უკრაინის ერთა ლიგასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართვა ქართველ ემიგრაციისადმი

იყო დრო და ეს არც ისე დიდი ხანია, რაც ჩვენი ინტელიგენცია ერთობ გულგრილად უცქეროდა ქართულ საკულტურო ნაშთებს და თავს არ იწუხებდა მათი შეგროვებისა და გამოცემისათვის, ამ გულგრილობამ დიდძალი პირველი ხარისხოვანი ძეგლები დაგვიკარგა. რაც მამებს თავიანთ ძველ ოჯახებში დაგროვილი ჰქონდათ, შვილებმა დაკარგეს.

ამ ჟამად ჩვენდა საბედნიეროდ იშვიათია ისეთი განათლებული ქართველი, რომელსაც არ შეეგნოს და რომელიც არ ცდილობდეს ქართულ ისტორიის და ლიტერატურის გაცნობას. ეროვნული მიმართულება თანდათან ღვივდება და ეს თავისთავად იწვევს ქართული კულტურის შესწავლას.

ქართული სულიერი, გონებრივი და მატერიალური კულტურა რთულია, მრავალ მხრივია და ბევრ რამეში მეტად თავისებურია, იშვიათია პატარა ერი, რომელსაც ასეთი მდიდარი ძველი კულტურა ჰქონდეს, ამ კულტურამ გადაარჩინა ქართველი ერი მოსპობას ჟამთა ვითარების აბობოქრებული ქარტეხილისაგან, მისცა უნარი სიმტკიცისა, გამძლეობისა და ყოველი ჭირის გადატანისა.

ვინც ამ კულტურას ასე თუ ისე არ იცნობს, ის არასოდეს არ იქნება ნამდვილი ქართველი, ჭეშმარიტად ქართული სულის მატარებელი, მას გადაგვარება მოელის, თუ უკვე გადაგვარებული არ არის. ამიტომ ყველა მოვალე ვართ, ხელი შეუწყოთ ჩვენი კულტურის საფუძვლიანად შესწავლას, რაც პირველ რიგში უნდა გამოიხატოს საკულტურო მასალების შეკრებაში და უკვე შეკრებილის გამოქვეყნებაში, უამისოდ ჩვენ ვერ აღვადგენთ ჩვენი კულტურის ნამდვილ სახეს და ვერ შევიგნებთ მის ცხოველ მყოფელს ძალას, რომელიც იხატებოდა პირველ ყოვლისა მდიდარი ქართული ენის განვითარებაში, სასულიერო და საერო ლიტერატურაში, პოეზიაში, ფილოსოფიაში, ხუროთ მოძღვრებაში და სხვა ყველა ხელოვნების დარგში, რჯულის და ზნეობის სიმტკიცეში, სოციალურ წყობილებაში, მეურნეობაში, ეკონომიკაში და სხვა.

ქართველთა მიერ ქართული ძეგლების შეკრება იწყება მხოლოდ წერა-კითხვის საზოგადოების დაარსებიდან, ამას ხელი შეუწყო კიდევ საეკლესიო მუზეუმის დაარსებამ და განსაკუთრებით განაცხოველა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებამ. ეხლა მას აგვირგვინებს ჩვენს დროს დაარსებული ქართული უნივერსიტეტი და ხელს უწყობენ ჩვენი მუზეუმები.

კვეხნაში ნუვინ ჩამომართმევს, თუ ვიტყვი, რომ მე წილად მხვდა სხვებთან ერთად ჩემი სუსტი ღონე და მცირე თავისუფალი დრო, სპეციალურ საპედაგოგიო მოღვაწეობიდან გადარჩენილი, მთელად შემეწირა ქართული საისტორიო და საკულტურო საგნების და მასალების შეგროვებისათვის, ცნობაში მოყვანისათვის, აღწერისა და გამოცემისათვის. ამ მიზნით ხშირად მიხდებოდა მოგზაურობა და ექსპედიციების მოწყობა სხვადასხვა საქართველოს კუთხეებში. შეგროვილი დიდძალი მასალა დაცულია ჩვენს მუზეუმებში, მცირე ნაწილი გამოცემულია და ვინც ჩვენს ლიტერატურას თვალს ადევნებდა, დაინახავდა, თუ როგორ შეუწყვეს ხელი ამ გამოცემებმა ჩვენი ისტორიის, ლიტერატურის და ხელოვნების შესწავლას. ხოლო ერთი ნაწილი მასალებისა თანა მაქვს და გამოუცემელი რჩება, საქმე კი საშურია: დრო მიდის, მე მივიწურე აღსასრულისაკენ «ადამის ტომთა წესითა», და ჩემს შემდეგ ამ მასალას თავს ვერავინ გაართმევს. თანა მაქვს სხვათა შორის შესანიშნავი სახუროთ მოძღვრო ძეგლების გეგმები სამუსულმანო საქართველოსი და მრავალი ფოტოგრაფიული სურათი, მათ შორის ისეთი პირველ ხარისხოვანი ძეგლების სურათებიც, რომელნიც დღეს სამუდამოდ მოსპობილია და მხოლოდ ჩემი აღწერილობა და გადმოღებული სურათებია დარჩენილი, ამათ გამოცემას მპირდებოდენ ექვს დიდ ალბომად, მაგრამ ეს იმედი ეხლა გაქრა, ამაზედ ოცნებაც მეტია, ვინაიდან ამას, სულ ცოტა რომ ვთქვათ, დასჭირდება ნახევარ მილიონ ფრანკზე მეტი. ისიც დიდი საქმე იქნება, თუ აღწერილობათა ტექსტები გამოვეცით. ეს შეადგენს დაახლოვებით 2.000 გვერდს შვა ფორმატის წიგნისას. რასაკვირველია ეს რამდენიმე წიგნად უნდა გამოვიდეს.

ამიტომ გავკადნიერდები, ვინაიდან ეს საზოგადო ქართული საკულტურო საქმეა, და მივმართავ ყველა საზღვარს გარეთ მყოფ ქართველ ორგანიზაციებს და თვითეულ საზღვარს გარეთ მყოფ ქართველს განურჩევლად პარტიისა, კეთილ ინებონ და ვისაც რა შეუძლია, რამდენიც შეუძლია, დაგვეხმარონ ამ საქმეში. ვისაც ეხერხება, ერთდროული თანხა მოგვაწოდოს, ვისაც ეს არ ეხერხება, თვიურად ერთი წლის განმავლობაში ათ-ათი ფრანკი შემოიტანოს, უფრო ხელმოკლეთ შეუძლიათ თვიურად ხუთ-ხუთი ფრანკი გადადვან, რასაკვირელია, ვინც უმუშევარია, მათ ეს მიმართვა არ ეხება. კერძოთ იმ ორგანიზაციებისათვის, რომელნიც გაზეთებს სცემენ, ჩემი წინადადება არის, ერთი ორი ნომერის გამოცემა შეაჩერონ და მათი ფასი ამ საქმისთვის გადადვან, ამით, მე მგონია, დიდი არაფერი დაშავდება.

მე მოწამე ვარ იმ საოცარი ევოლიუციისა, რომელიც ჩვენში მოხდა ამ საკითხში. თუ პირველ ხანებში ამ დარგში მუშაობის დროს მე სასაცილოდ მიგდებდენ, თავს მესხმოდენ, განსაქიქებელ წერილებს მიძღვნიდენ, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსების შემდეგ მტრული განწყობილება სიმპატიად შეიცვალა. ყველამ დიდი პატივი დამდვა, ძვირად თუ ვისმეს გაუწბილებივარ საყურადღებო ხელნაწერების და ნივთების შემოწირვაში, რაშიაც ფულს ვაძლევდით, იმასაც სულ იაფად გვითმობდენ. ათი წლის განმავლობაში დიდი მუზეუმი შევქმენით და მილიონი მანეთის უძრავი მამულები შევიძინეთ. ის ანდერძები, რომელნიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგვიტოვეს აკაკი წერეთელმა, დავით სარაჯიშვილმა, ნესტორ პეტრიაშვილმა, ღუდუშაურებმა და ბევრმა სხვებმა (ხოლო ჩვენ რევოლუციის და ფულის დაცემის გამო ნაკლებათ ვისარგებლეთ), მოწმობენ ძირითად გადატეხას და მტკიცე შეგნებას ჩვენი ძველი კულტურის შესწავლის აუცილებელ საჭიროებისა. ერთი სიტყვით მთელმა საქართველომ დიდი პატივი დაგვდვა და ხელი შეგვიწყო. თუ ასეთი სიმპატია გამოყვა ემიგრაციასაც, მაშინ ეს ჩემი წინადადება, დარწმუნებული ვარ, პატივით იქნება მიღებული. სამწუხაროდ ჩვენი ემიგრაცია დაქსაქსულია პოლიტიკური მიმართულების თვალსაზრისით, ამ საქმეში მაინც შეეერთდეთ. იქნება ამ შეერთებამ სხვა დიდ საქმეშიც შეერთება გამოიწვიოს. ღმერთმა ქნას!

ახლო ხანში 50 წელი შესრულდება, რაც მე საპედაგოგიო დარგში და ამ დარგში დავიწყე მუშაობა. ამის გამო ზოგმა ჩემმა ყოფილმა შეგირდებმა მომმართეს წინადადებით იუბილეს მოწყობისა, რაზედაც, რა თქმა უნდა, უარი განვაცხადე, პირველად მიტომ, რომ საუბილეო არაფერი გამიკეთებია, მე მხოლოდ ჩემ ქართულ მოვალეობას ვასრულებდი, მეორედ მიტომ, რომ კიდევაც ღირსი ვიყო იუბილეისა, ჩვენს პირობებში, ემიგრაციაში, იუბილევის გაუგონია! არ ეგების! იუბილეზედ მეტად ჩავთვლი და უფრო სასარგებლოც იქნება, თუ ამ გამოცემათა საშვალებას მომიხერხებენ.

ნუ ვინ დამწამებს, თითქო მე ჩვენი ემიგრაციის სიღარიბე არ ვიცოდე. არა, ძლიერ კარგად ვიცი, მაგრამ ისიც კარგათ ვიცი, ჩვენში საზოგადო საქმე, თუ რამე გაკეთებულა, ისევ ღარიბი ქართველის ჯიბით და მისი ინტელიგენციის წყალობით. მდიდრები ცოტა გვყვანდენ და ვინც გვყვანდა, ბევრი საიმისო არაფერი გაუკეთებიათ. თუ გული გულობს და ყველანი შეეერთდებით, საერთო წვლილითაც ამ საქმეს ეშველება. ეს არის პირველი და უკანასკნელი ჩემი თხოვნა ქართველი ემიგრაციისადმი. ვინც პატივს დაგვდებს და დაგვეხმარება ამ საქმეში, მათ ვთხოვ წინდაწინვე მიიღონ ჩემი ულრმესი მადლობა და თანაგრძნობა.

პატივისცემით ექვთიმე თაყაიშვილი.

25 ნოემბერი, 1936 წ.

Château de Leuville sur Orge
par Montlhery. (S. et O.)

P. S. ვთხოვ სხვა ქართულ გამოცემებს გადაბეჭდონ ეს ჩემი მიმართვა.

ეროვნული სული

მსოფლიოს ერთი მთლიანი უნივერსალური სული არ დაქროლავს. იგი ეროვნულ სულთა შეჯიბრების სარბიელია. კაცობრიობა ამ ცალკე სულთაგან შეკონილი თაიგულია. რამდენად მრავალია ეროვნებათა სახეობა, იმდენად უფრო ლამაზია საკაცობრიო თაიგული. ერები ღორძინდებიან, თაიგული იფურჩქნება, ყვავის. ერები კნინდებიან, თაიგული ზრება. ვინც ერს ებრძვის, რაგინდ განვითარების დაბალ საფეხურზე იდგეს იგი, კაცობრიობის მტერია, პროგრესის მესაფლავეა. ერის მოტრფიალე, მისი წარმატებისთვის მზრუნავი, კაცობრიობის მეგობარია, პროგრესის მამოძრავებელი.

მართალია, ერთა შორის არსებობს ბრძოლები და უხეში შეხლა-შემოხლანი, მაგრამ ამის მიზეზი ერების არსებობა კი არაა,—ცხოვრების ავადმყოფური აწყობაა, მისი აზრის და შინაარსის უკუღმართი გაგება. ააწყვეთ ცხოვრება მიზანშეწონილად, იცანით უფლების პრიმატი ძალაზე და ერთა ურთიერთობა ბედნიერად წარიმართება, რადგან უპირველესი და უძირითადესი უფლება არსებობის უფლებაა. ჰქმენი ყველაფერი, რაც შენ მოგიხდება, ხოლო არ ავნო შენ მეზობლებს, რადგან მასაც ისევთვე უფლება აქვს არსებობის, როგორც შენ.—აი, საფუძველი ერთა ნორმალურ ურთიერთობის. მკლავაძეობა უწინარეს ყოვლისა თვით მკლავაძესათვისაა მავნებელი. ვინც ხმალი ამოიღო, ის ყოველთვის ხმალითვე წაწყმედილა. ამას ამტკიცებს კაცობრიობის მთელი წარსული.

სიცოცხლემ უნდა სძლიოს სიკვდილს, აზრმა უაზრობას. ამიტომ ერთა და კაცობრიობის ყოფნის და წარმატების სათანადო ფორმულა უნდა გამოინახოს, რომელიც ერთა ურთიერთ განადგურებას, მათი ურთიერთ თანამშრომლობით შეცვლის.

ერი მეტად რთული მოვლენაა. მისი სული, ისე როგორც სხეული მთელ რიგ ფაქტორთა განსაკუთრებული კომბინაციის განსაკუთრებული ნაყოფია. აქ აქტიურად მოქმედებენ: სისხლი, გეოგრაფია, ისტორიული თავგადასავალი, სოციალ-პოლიტიკური წყობა და სხვ. რამდენი ერია, იმდენია ეროვნული სული. არსებობენ: ქართული, ფრანგული, გერმანული, ანგლო-საქსონური და სხვა სულები.

ერის თავისუფლება უწინარეს ყოვლისა მისი სულის თავისებურებაში გამოიხატება. რამდენად უფრო გამოკვეთილია ეს თავისებურება, იმდენად უფრო ერობს ერი.

უხვმა და მრავალფეროვანმა ბუნებამ, მდიდარმა ისტორიულმა წარსულმა შექმნა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი ქართული ბუნება. ხუროთმოძღვრება, ქანდაკება, სიტყვა კაზმული მწერლობა, პუბლიცისტიკა, ხალხურ სიმღერათა კილო, ზნეჩვეულებანი, თვით ენა, მისი შინა ბუნება, მისი მორფოლოგია, ერთი სიტყვით, ადამიანის სულიერ აქტივობის ყოველ დარგს ამ ღვთაებრივი თავისებური შემოქმედების ბეჭედი აზის, ეს გარემოება სრულებით არ ნიშნავს, რომ ქართული სული არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკარებდეს საკაცობრიოს, უნივერსალურს. წინაამდეგ, საკაცობრიო იდეალები, უნივერსალური ჯეშმარიტებანი უხვ ნიადაგს ჰპოებენ ქართულ ბუნებაში, მაგრამ ეს ჯეშმარიტებანი ქართული გენიის ქურაში წდებიან, მისი თავისებურობის სახეს იღებენ.

კონკრეტად: ქართველს ახასიათებს მხნეობა, სუსტის გატანა, მძლეთა ძლეობა, სულის სიმტკიცე, შეუპოვრობა, გამბედაობა, ჯირის ატანა, ლხინის არფარვა, მტერ-მოყვარეთა სწრაფ გამოცნობა, აზრი მახვილი, ბუნება დიდი, ღირსთან ღირსება, თავ დაფასება, სამშობლოს სიყვარული, მისთვის სიცოცხლე და სიკვდილისა არ დანანება.

ქართველი უსაზღვრო იდეალისტია, მეოცნებე და ამავე დროს დიდი რეალისტი. იგი მუდამ ცას ეპოტინება, მაგრამ ცოდვილიან მიწას არასოდეს ივიწყებს, ისწრაფვის მიწა ზეცას შეადუღოს და მით შექმნას ახალი არსი, გადალახოს შეუძლებელი და მონახოს აღთქმის კარი, სადაც სულნი ვარჯიშობენ, ნეტარობენ და ხარობენ და სად კაცთა ქვენა ზრახვა უკუაგდეს, არ ნანობენ, სადაც დიდსა უკვდავებას ტახტი ფართოდ გაუშლია და სამყაროს მთა-მინდვრებზე ია-ვარდი აუშლია.

ქართველი, ბუნებით რაინდი, წაქცეულს არ სცემს, ხმლიანი უხმლოს არასოდეს შეებმის. აგვისტოს დღეები უჭერმეტყველესი დადასტურებაა ამ რაინდობის. რამდენი ბობოლა მოღალატე ჩაუვარდა ამ დღეებში აზღვავებულ ხალხს ხელში, მაგრამ არც ერთი მათგანის სისხლი არ დანთხეულა, არც ერთ მათგანს ერთი ღერი თმაც კი არ ჩამოვარდნია. ერი აჯანყდა, მაგრამ არ გაბოროტებულა, მას ამოქმედებდა თავისუფლების სიყვარული და არა შურის ძიება.

ქართველი არავის ეყმობა და არც არავის იყმობს. «სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი»,—მისი პრაქტიკული ყოფაქცევის ფილოსოფიაა.

ქართველი სამშობლოზე შეყვარებულია. ის არ გაცვლის სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გაცვლის თავის სამშობლოს სხვის ქვეყნის სამოთხეზედა. მაგრამ სამშობლოს სიყვარული ქართველს არ უშლის ხელს უცხოეთის დიდი პატივისმცემელი იყოს. ქართველმა ერმა განსაკუთრებული სიტყვაც კი შექმნა ამ შემთხვევისათვის, სიტყვა «საუცხოო». საუცხოო, ე. ი. საუკეთესო არის მხოლოდ უცხოელისთვის, სტუმრისთვის საკადრისი.

ქართველი ერი ერობს უაღრესად. ეროვნული ყოფნა იგივე ეროვნული შემოქმედებაა. შემოქმედება კი სულის თავისუფალი გაშლაა, მისი შინაინტენსივობის გარე სინამდვილესთან ჰარმონიზაციაა. იქ, სადაც თავისუფლება არაა, არც შემოქმედებაა და, სადაც შემოქმედება არაა, არც ყოფნაა, არც სიცოცხლეა.

ბოლშევიზმი თავისუფლების, მაშასადამე შემოქმედების, სიცოცხლის უარისყოფაა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ცოცხლად და სასიცოცხლოდ შობილი ქართველი ერი მას ვერ ეგუება. ბოლშევიზმი აგორებული რუსული ურაპრაქტიკაა, რომელსაც არავითარი საერთო ქართულ ბუნებასთან არა აქვს. ბრძოლა ქართულ ბუნებისა ამ რუსულ ურა-პრაქტიკასთან განუწყვეტლივ სწარმოებს.

ღრმა უფსკრულია რუსულ ურა-პრაქტიკასა და ქართულ ბუნებას შორის. ქართული ეროვნული სული უძლეველია. ბოლშევიკური საწამლავის წინაამდეგ მას სრული იმუნიტეტი აქვს. მართალია, მარტო სულით ხიშტები ვერ უკუიქცევის, მაგრამ ვერც ხიშტებით სული დაიჭირების.

ილია ნუტუბიძე.

ქალი დამოუკიდებლობის ბრძოლაში

ქალის გონება და გული მუდამ მშვენიერების და სიდიადის ძიებაშია. ამიტომაც სამშობლოსათვის თავდადება იყო, არის და იქნება ყოველთვის ოცნება მრავალ ასულთა.

არა ერთხელ ეს ოცნება სინამდვილედ უქცევია ბევრს დედას და თითქმის ყოველი ერის ცხოვრებაში მოიპოვება მაგალითები ქალთა გმირულ საქმეების.

ყველას ხომ ერთნაირად არ შეუძლია სამშობლოს სამსახური. ზოგს წილად ერგო იარაღი აეღო ხელში ქვეყნის დასაცავად. ამ შემთხვევაშიაც ქალებმა გამოიჩინეს უდიდესი თავგანწირვა და არაფრით ჩამოუვარდნენ მამაკაცებს.

მეორენი არჩევდნენ მუშაობას მძიმეს და თითქმის აუტანელს ქვეყნის კეთილდღეობისათვის. ხშირად მსხვერპლიც კი გამხდარან. ქალის მამულიშვილობაზე რომ ვლაპარაკობ, ვეხები მის გმირულ საქმეს თუ ქვეყნისათვის გაწეულ შრომას, მსურს განსაკუთრებით პოლონელ ქალის მოღვაწეობაზე შევჩერდე, თუ გინდ მხოლოდ იმისათვის, რომ ვისწავლოთ იმათ მაგალითზე, ვინც ჩვენსავით ერთნაირ პირობებში იმყოფებოდა და იბრძოდა.

რუსეთის მიერ დაუნდობლად დევნილი პოლონეთი იძულებული იყო მთელი სიმძიმე მუშაობისა გადაეტანა სარდაფებში ან ემიგრაციის საუკეთესო ნაწილისთვის დაეკისრებია, რათა ეხსნა მონობაში ჩავარდნილი ერი ზნეობრივი დაცემისაგან და აენთო მასში ბრძოლის ცეცხლი მჩაგვრელთა წინაამდეგ.

ფართე ნიადაგი და სარბიელი გადაიშალა აქ პოლონელი ქალისთვის და ისიც უშიშრად და გაბედულად ჩადგა მებრძოლთა რიგებში.

როგორც პირველ აჯანყების 1831 წ. დროს ისე მეორესი 1863 წ. მრავალი პოლონელი ქალი იარაღით ხელში იბრძვის მამაკაცებთან ერთად თავისუფლებისათვის. საიდუმლო, კონსპირატიულ მოქმედებაში უდიდეს როლს თამაშობს. ყოველი პატრიოტული ორგანიზაცია მრავალმხრივ მუშაობას აწარმოებს. ნაწილი ამ მუშაობისა ქალებს აწევს. მათი მონაწილეობა სასარგებლოც და აუცილებელიცაა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ განმათავისუფლებელ მოძრაობაში პოლონელმა ქალმა ღირსეულად შეასრულა თვისი მოვალეობა.

ყველგან და ყოველთვის, ყოველ დარგში გამო-

იჩინა დიდი აქტივობა, გაბედულება, შეურიგებლობა მტერთან, საქმისთვის თავდადება, მხოლოდ ყველაზე უდიდესი, რასაც ის ემსახურებოდა,—ეს იყო დედის მოვალეობა თვისი შვილების აღზრდა მამულიშვილებად. მათ გულში მჩაგვრელის სიძულვილის ჩანერგვა.

უმშვენიერეს მაგალითს ამისას იძლევა დიდი მარშალის იოსებ პილსუდსკის დედა, რომელმაც ბავშობიდანვე ჩაუნერგა შვილებს უსაზღვრო სიყვარული სამშობლო ქვეყნის.

«დედა, ამბობს იოსებ პილსუდსკი, შეურიგებელი პატრიოტი იყო და სრულებითაც არ ცდილობდა, დაეფარა ჩვენს წინაშე ტკივილები და იმედების გაცრუება აჯანყების ჩაქრობით გამოწვეული. წინაამდეგ, გვზრდიდა ჩვენ და გვინერგავდა რწმენას, რომ აუცილებელია ბრძოლის გაგრძელება სამშობლოს მტერთან».

დედა ცდილობდა თვის შვილებში აზროვნების დამოუკიდებლობა განევითარებია და უღვიძებდა მათ პირადი ღირსების გრძნობას.

«მხოლოდ ის კაცია ღირსი ადამიანის სახელის, ვისაც აქვს თვისი მტკიცე რწმენა და შეუძლია მიუხედავად შედეგისა ემსახუროს და იბრძოლოს კიდეც მისთვის»...

ღრმად აღიბეჭდა ნორჩ გულში საყვარელი დედის დარიგება და მდიდარი ნაყოფიც გამოიღო.

ვიცით ყველამ, თუ როგორი მოწიწებით იგონებდა მარშალი თავის დედას, როგორ ამბობდა ყოველთვის, რომ დედა იყო ის, ვინც სამშობლოს სამსახური დაუსახა ცხოვრების მიზნად.

1914 წელი. ლეგიონები,—ეს სიტყვა თითქოს ლეგენდაა ცოცხალი იმ რაინდთა შესახებ, ვინც ასწლოვან მონობის ბორკილებით დაბმულს, დაუძლურებულ პოლონეთს სიცოცხლეს შთაბერავს და გაანთავისუფლებს.

ქალი აქაც პირველ რიგებშია. იბრძვის იარაღით ხელში, ათასგვარ მძიმე დავალებას ასრულებს როგორც შიგნით პოლონეთში ისე საზღვარ-გარედაც. მონობის წამებას თავდაღწეული, განვლილ ტანჯვას შემდეგ განთავისუფლებული, დამოუკიდებელ პოლონეთში ქალი განაგრძობს მუშაობას ბეჯითს და მშვიდობიანს «თვის საკუთარ სახლში», მუშაობას მოქალაქეობრივს და საზოგადოებრივს.

პოლონელ ქალის ასეთი ნაყოფიერი მოღვაწეობის მაგალითი ჩვენზე გამამხნევებელ გავლენას ახდენს. ვიცით, რომ პოლონელი ქალი ჩვენსავით მძიმე, საშინელ გარემოებაში იმყოფებოდა, მოქმედების პირობები აუტანელი ჰქონდა, მაგრამ ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის შეგნებამ, საზოგადო საქმისათვის თავდადებამ და არაჩვეულებრივმა აქტიობამ სასწაულები მოახდინა.

პოლონელ ქალის მაგალითი ძვირფასია ჩვენთვის არა მხოლოდ იმიტომ, რომ პირობები ერთგვარი იყო, არამედ იმიტომაც, რომ თვით ბუნება და ხასიათი პოლონელ ქალისა ქართველ ქალისას უახლოვდება.

ქართველი ქალიც ხომ განსახიერებაა პატრიოტიზმის, თავდადების თვისი მშვენიერ ქვეყნისათვის და მაღალი იდეალებისა. ტყუილად ხომ არ არის ქალის კულტი ასე განვითარებული საქართველოში, ხომ ცხადია უდიდესი გავლენა ქალისა საზოგადოებრივ ცხოვრებაზედაც კი! ამის მაგალითი ურიცხვია. ჩვენი სამშობლოს ისტორია იძლევა მრავალ ფაქტს, თუ როგორ ქვეყნის საბედისწერო წუთებში იბრძოდა და თავს დებდა ქართველი ქალი ერის გულისათვის.

ისე როგორც პოლონელი ქალი, ქართველი ქალიც მამულისათვის ზრდიდა შვილებს და ასწავლიდა მათ ერისთვის თავდადებას. ქართველი ქალის წყალობით არა ერთხელ გამოსულა ჩვენი ერი გამარჯვებული მტერთან ბრძოლაში. მისი გავლენით აიხსნება, რომ საშინელ მონობის ხანებშიაც კი არ დაუკარგავს ქართველობას საკუთარი სახე და თვისი ეროვნული მეობის შეგნება.

როს დადგა საქართველოს დამოუკიდებლობის უკანასკნელი წუთი, რომ იკარგებოდა ერის თავისუფლება, ქართველი ქალი პირველი აღსდგა მისი ღირსების დასაცავად. წარმტაც მაგალითს იძლევა მთელი ერის უსაზღვრო პატივისცემით მოსილი დედოფალ მარიამის ტრაღიული სახე...

დღეს ჩვენი ვალია, მივბაძოთ ჩვენი დედების მაგალითს, ვიმუშავოთ სამშობლოს განთავისუფლებისთვის და მაღლა გვეჭიროს წმინდა ეროვნული დროშა.

დეე, პოლონელ ქალის მაგალითმა და ჩვენი დედების მშვენიერმა წარსულმა გაგვინათოს დღეს გზა და ჩაგვინერგოს რწმენა, რომ ღვაწლი ქართველი ქალისა ფუჭად არ ჩაივლის, რომ სამშობლოსათვის გაწეული შრომა და მიტანილი მსხვერპლი ერთი ათასად ნაყოფს გამოიღებს, და ჩვენთვისაც აღმოცენდება დიდებული მზე საქართველოს თავისუფლების, დამოუკიდებლობის!

მარო შალიკაშვილი.

ბერლინი და მოსკოვი

ნიურნბერგის ყრილობას ძლიერ ანტიბოლშევიზმს გარდა ახასიათებდა ასეთივე ძლიერი ანტისემიტიზმი, და დემოკრატიაც—ყოველ შემთხვევაში მის არსებულ ლიბერალურ-პარლამენტარულ ფორმებში—ბოლშევიზმის გზად და ხიდად იქნა გამოცხადებული. ამ გარემოებამ სხვადასხვა დიპლომატურ წრეებში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ცხარე ანტისემიტურ გამოსვლებში ზოგმა მთავრობამ ალბად თავისი შეურაცყოფაც ამოიკითხა. თანდართულმა ანტიდემოკრატულმა ტონმა ბევრში ეჭვიც აღძრა: «გერმანიას ხომ არ სურს, შეჰკრას ევროპის ნაციონალისტურ-ავტორიტარული სახელმწიფოების ბლოკი დემოკრატიული სახელმწიფოების წინაამდეგ?» ამ ეჭვების და გაუგებრობების გაფანტვას ემსახურებოდა როზენბერგის მორიგი დიდი სიტყვა, რომელიც წარმოსთქვა 15 ოქტომბერს ნაციონალსოციალისტური პარტიის საგარეო-პოლიტიკური უწყების მე-25 სხდომაზე, რომელსაც დაესწრენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთის პრესაც და დიპლომატიური წარმომადგენლებიც გარდა საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის წარმომადგენლებისა.

დასაწყისში როზენბერგი შეეხო მოსკოვის ლოზუნგს: «ბრძოლა ფაშიზმს!» და განმარტა, რომ მოსკოვი ფაშიზმში ყველა აქტიურ ანტიბოლშევიკურ ძალებს გულისხმობს, რომ ის არსებითად მთელ ევროპას განადგურებით ემუქრება. ეს მუქარა ორატორის აზრით არც თუ წმინდა კომუნისტური მუქარაა, არამედ მას საერთო ანტიევროპიული მიდრეკილებაც ახასიათებს. მას მოყავს ტუხაჩევსკის სიტყვები, რომლისთვისაც «სულ ერთია წითელი თუ თეთრი გენერალი, ოღონდ ევროპა კი დაანგრიოს», და დაასკვნის, რომ ბოლშევიკების ანტიევროპეიზმში დიდ როლს თამაშობს «მტრობა სტეპისა ყოველგვარი ევროპიული სახელმწიფოებრივობის მიმართ». შემდეგ ორატორი ეხება ლიტვინოვის ინტრიგებს, ევროპის სახელმწიფოებს შორის შუღლის გაღრმავებისა და მათი ერთმანეთის დაჯახებისაკენ მიმართულთ, და ტორეზის პროვოკატორულ სიტყვებს, რომელნიც განსაკუთრებით საფრანგეთ-გერმანიის დამოკიდებულების მოწამვლას ემსახურებიან და რომელნიც ამ მიზნით გერმანიის სახელმწიფოს მეთაურს შეურაცყოფენ.

ბოლშევიზმი იღწვის ევროპის მშვიდობიანობის წინაამდეგ, ევროპის დასანგრევად. «ამიტომ ევროპის ერები დაინტერესებულნი არიან, რომ ურთიერთ შორის სამშვიდობო პაქტები შეკრან, მაგრამ ამავე დროს პროფესიულ შხამის მრეველთა მუშაობა აღკვეთონ».

სხვა სიტყვებით: ევროპის სახელმწიფოთა პაქტი სასურველია, მაგრამ მოსკოვის გარეშე, სწორედ მოსკოვის დამანგრეველ და პროვოკატორულ მუშაობის საწინაამდეგოდ.

მოსკოვს ევროპის საქმეებში ხელი არა აქვს. მესამე ინტერნაციონალი ევროპის მუშებს ვერრას ასწავლის, ამბობს მომხსენებელი და განაგრძობს: «მეთაურმა განაცხადა, რომ გერმანელი მუშა მეტად გონიერია და მოსკოვს შეგირდად არ გაუხდება. ინგლისის მუშათა პარტიაც აცხადებს, რომ ინგლისელი მუშაც მეტად ჭკვიანია და მოსკოვისგან ჭკუის სწავლება არ ესაჭიროება».

ამ სიტყვებით როზენბერგი აცხადებს, რომ გერმანული ნაციონალსოციალიზმი—მიუხედავად თავისი სასტიკი ანტიმარქსისტული იდეოლოგიისა—მზად არის ანგარიში გაუწიოს და დაიფასოს ისეთი სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიებიც, რომელნიც ბოლშევიზმს გადაჭრით ებრძვიან. ამავე სიტყვებში მოსჩანს ინგლისის მიმართ გაწვდილი ხელიც.

გერმანია მოსურნეა ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოებთანაც კავშირის და კეთილ-მეზობლური თანამშრომლობის, მხოლოდ ეს უკანასკნელნი არ უნდა იყვენ დაკავშირებულნი მოსკოვთან, მათ უნდა სძლიონ ბოლშევიზმი.

«ჩვენ არ გვინდა ნაციონალსოციალიზმის სხვა ერებზე გადატანა. თუ ისინი თავიანთ ქვეყნებში ბოლშევიზმს დემოკრატიის საშვალებით დასძლევენ, ჩვენ კმაყოფილნი ვიქნებითო».

გერმანიას არ აკმაყოფილებს მარტო თავის საზღვრებში განადგურება კომუნისტური მოძრაობის. ის გულგრილად ვერ უყურებს ბოლშევიზმის თარეშს სხვა რომელსამე ევროპიულ ქვეყანაშიც.

იმიტომ რომ:

«ჩვენ შეგნებული ევროპიელები ვართ», ამბობს როზენბერგი. «დაე მოსკოველებმა თავიანთი საქმე მოაგვაროონ როგორც მათ სურთ, მაგრამ ჩვენ არ გვსურს მათი ანტიევროპიული მოძღვრება. ჩვენ გვინდა ევროპის წმინდა განძების დაცვა».

ნუ თუ მხოლოდ და მხოლოდ ნიურნბერგის ყრილობის მიერ ზოგ წრეებში გამოწვეული ეჭვების გაფანტვა იყო როზენბერგის ამ სიტყვების დანიშნულება? არა. ორატორი წინაც იყურებოდა. კარზე მომდგარი იყო ახალი, უაღრესი მნიშვნელობის დიპლომატიური აქტი: იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის, გრაფ ჩიანოს ბერლინში ჩამოსვლა, რომელიც მოხდა ოქტომბრის ბოლო რიცხვებში. ამ სტუმრობას და მასთან დაკავშირებულ დიპლომატურ-პოლიტიკურ შეთანხმებებს შეეძლოთ, მოსალოდნელია, კიდევ უფრო გაეძლიერებიათ ზემოდ ნახსენები ეჭვები თუ გაუგებრობანი. აი ამათ გასაფანტავად წინასწარ თადარიგსაც წარმოადგენდა ნაციონალსოციალისტური პარტიის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის სიტყვა.

გრაფ ჩიანოს ბერლინში ყოფნა მეტად ნაყოფიერი იყო. შეთანხმების ოფიციალური მოტტოა: «ბოლშევიზმის წინაამდეგ და ევროპის მშვიდობიანობისთვის». არსებითად შემდეგი შეთანხმების მუხლებია ოფიციალურად ცნობილი: გერმანიამ იცნო რომის იმპერია ანუ იტალიის ძალაუფლება ახლად დაპყრობილ ეთიოპიაზე. იტალიამ გაიზიარა გერმანიის თვალსაზრისი, რომ დასავლეთის პაქტი (ლოკარნოს განახლება) უნდა შეიკრას საბჭოთა კავშირის გაურევლად. იტალია არ არის წინაამდეგი იმ დაახლოების და თანამშრომლობის, რომელიც დამყარდა გერმანიასა და ავსტრიას შორის. მეორე მხრით მიღებულ იქნა ეგრედ წოდებული პარალელობის პრინციპი ორივე ქვეყნის ეკონომიურ პოლიტიკურ მუშაობაში როგორც იმავ ავსტრიასთან, ისე დუნაის სხვა სახელმწიფოებთან და ბალკანეთში: ორივე სახელმწიფო მუშაობს დამოუკიდებლად, მაგრამ ერთმანეთს ხელს არ უშლიან. ბოლშევიზმთან და საერთოდ მოსკოვის გავლენასთან ბრძოლას აქაც ორივე მხარე თანაბრად ე. ი. ენერგიულად აწარმოებენ. ესპანეთის საკითხშიც ხომ ორივე სახელმწიფო დიდი ხანია შეთანხმებულია. ორთავე აშკარად თანაუგრძნობენ ნაციონალისტებს (ფრანკოს), ოფიციალურად ნეიტრალიტეტის პოზიციაზე დგანან ესპანეთის კომიტეტში, გადაჭრით ებრძვიან მოსკოვის ჩარევას. ამას გარდა გერმანიასა და იტალიას შორის ჩაღდება ფართე იდეოლოგიური თანამშრომლობაც.

მოკლედ, ბერლინსა და რომზე გაყვანილ იქნა ცნობილი «ღერძი». ამის დიდი სურვილი, რომ ამ ღერძის ჩრდილოეთელი დასაყრდნობი ლონდონში

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს. საამისოდ ბერლინში ერთგვარი იმედებიც არსებობს. განხორციელდება თუ არა ეს იმედები, მომავალი გვიჩვენებს. გერმანია-იტალიის სურვილია, როგორც მუსოლინიმაც განაცხადა, ამ ღერძის გარეშე შემოკრბეს ყველა, ვისაც სურს ბოლშევიზმისგან გათავისუფლებული შეკავშირებული ევროპა. ამ მიზნით წარმოებს დიდი და აქტიური დიპლომატური მუშაობა—განსაკუთრებით ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთში. წარმოებს გაშლილი ანტიბოლშევიკური პროპაგანდა უპირველესად თვით გერმანიასა და იტალიაში. ეს ჩანს პრესაში, რადიოში და ყველა საჯარო გამოსვლებში, აგრეთვე სპეციალურ მოწყობილ დიდ ანტიბოლშევიკურ გამოფენებში. გერმანიაში ასეთი გამოფენები გამართულია ბერლინსა და მიუნხენში. სურათების, დოკუმენტების, კერძო წერილების და სხვადასხვა ნივთიერ მასალების საშუალებით ისინი გვიჩვენებენ ბოლშევიკური ჯოჯოხეთის სხვადასხვა მხარეს თვით საბჭოთა კავშირში და აგრეთვე მოსკოვის დამარღვეველ მუშაობას სხვა ქვეყნებში.

მოსკოვსაც არ სძინავს. მისთვის არ კმარა პროპაგანდაში დიდი ხნით გაწვრთნილი კომინტერნის მოღვაწეობა. პოლიციურ ზომებში გაწვრთნილი ჩეკაც ენერგიულად იღწვის. გაზეთები გვამცნობენ მოსკოვში მყოფი გერმანელი მოქალაქეების «შეთქმულების აღმოჩენას» და მათ მასიურ დატუსაღებას. ამას მოყვა გერმანული პრესის აღშფოთების ახალი ზვირთები და ბერლინის დიპლომატური დემარში მოსკოვში...

ბრძოლა ბერლინსა და მოსკოვს შორის ყოველ დარგში, ყოველივე სფეროში დღითი დღე ძლიერდება და მწვავდება. რით გათავდება, ვერავინ იტყვის. ჯერჯერობით ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ ეს ბრძოლა არა უკანასკნელი მიზეზია იმ საგარეო პოლიტიკური მარცხების, რომელთაც მოსკოვი ახლა ხშირად განიცდის და რომელნიც მის უკანასკნელ წლებში აწეულ დიპლომატურ კონიუნქტურას ხელახლა დაბლა აქანებენ.

У.

წერილი ამერიკიდან

გუშინ, სამ ნოემბერს, ჩრდილო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მომავალ ოთხი წლისთვის თავის პრეზიდენტად ისევ ფრანკლინ დელანო რუზველტი აირჩია. დემოკრატების პარტიამ დაამარცხა რესპუბლიკანელების პარტია და მისი საპრეზიდენტო კანდიდატი ალფრედ ლანდონი დიდი ხმის უმეტესობით. არასოდეს ამერიკის ისტორიაში არც ერთ პრეზიდენტს ასეთი გამარჯვება არ რგებია. პრეზიდენტმა რუზველტმა მოიგო 46 შტატი 523 პრეზიდენტის ამომრჩევი ხმით და ა. ლანდონმა მხოლოდ ორი შტატი 8 ამომრჩეველი ხმით.

მეტი არ იქნება, აქ რომ აღვნიშნოთ პრეზიდენტის არჩევის სისტემა, რადგან არამც თუ საზღვარ გარედ, არამედ აქაც, შეერთებულ შტატებში, ბევრმა არ იცის, როგორ ხდება ეს. ბევრს ჰგონია რომ ხალხი პირდაპირ ირჩევს პრეზიდენტს და მის თანაშემწეს. ნამდვილად კი ხალხი ირჩევს (ყოველ მეოთხე წელს ნოემბრის პირველ სამშაბათს) მხოლოდ პრეზიდენტის ამომრჩევლებს ყოველ შტატში ცალცალკე და ესენი კი პრეზიდენტს. ყოველ შტატისთვის განსაზღვრულია რიცხვი პრეზიდენტის ამომრჩევლების, იმდენი რამდენი წარმომადგენელი შტატს ჰყავს კონგრესში. მაგალითად, ნიუორკის შტატს—47, კალიფორნიას—22, პატარა შტატს ნევადას—3 და სხვა... სულ შეერთებულ შტატებში 531. ეს არის რიცხვი კონგრესის წევრების (კონგრესი შესდგება ორი პალატისგან: სენატი 96 წევრით, ორი ყოველ შტატიდან; ქვედა პალატა—436 წევრით, ყოველი 279.000 მცხოვრები ირჩევს ერთი წარმომადგენელს). არჩევნების დღეს ყოველ შტატის პარტია და მათი მიმდევრები ხმას აძლევენ თავის პარტიის კანდიდატებს ავტომატურად, რომელთა სახელები არც კი არის გამოცხადებული და რომელიც მხოლოდ პარტიამ იცის, თუმცა საიდუმლო არ არის.

მაგალითად ნიუორკის შტატმა ხუთი მილიონი ხმიდან დაახლოებით სამი მილიონი დემოკრატებს მისცა, ამიტომ ყველა 47 პრეზიდენტის ამომრჩეველი მხოლოდ დემოკრატები არიან და ასე სხვა შტატებში. არჩევნები რომ გათავდება, ყოველ შტატის ანგარიშის მერე ირკვევა, ვის მისცა ხალხმა უმეტესი ხმა, რომელ პარტიამ მიიღო უმეტესობა პრეზიდენტის ამომრჩეველი ხმების. მაგალითად გუშინდელი არჩევნებიდან დემოკრატებმა მოიგეს 46 შტატი 523 ამომრჩევი ხმით, მათ კი სჭიროდათ მხოლოდ 266, ე. ი. 531-ის ნახევარის ერთით მეტი. ამომრჩევლები შეიკრიბებიან თავთავის შტატებში მომავალ იანვრის პირველ ოთხშაბათს და კენჭს აძლევენ თავის საპრეზიდენტო კანდიდატს და მის თანაშემწეს. ამის შედეგი ეგზავნება ქალაქ ვაშინგტონში კონგრესს, რომელიც მას ამტკიცებს. მაშინ არის ფორმალურად არჩეული პრეზიდენტი და მისი თანაშემწე (თანაშემწეს ფუნქციები სენატის თავმჯდომარეობაა).

მაგრამ ეს დაძველებული კანონი მხოლოდ ფორმისთვის არის დღეს და პრეზიდენტის ვინაობა ამომრჩევლების არჩევნების გათავებისას ირკვევა. ამიტომ შედეგად გუშინდელ არჩევნებისა პრეზიდენტად ფრანკლინ რუზველტი და მის თანაშემწედ ივანე გარნერი არის არჩეული.

არასოდეს ყოფილა შემთხვევა, რომ პრეზიდენტის ამომრჩევლებს თავისი ხმები გამოეცვალოთ, რადგან ისენი მორალურად ვალდებული არიან თავის კანდიდატს მისცენ კენჭი, თუმცა კანონის ძალით შეუძლიათ, ვინც უნდათ ის აირჩიონ.

ასე, ფორმალურად, პრეზიდენტს და მის თანაშემწეს კონსტიტუციის ძალით არაპირდაპირ ირჩევენ.

პირდაპირ და უმრავლესობის ხმით ირჩევენ: კონგრესის წევრებს, შტატის გუბერნატორებს, შტატების სენატს და ქვედაპალატის წევრებს, ქალაქის თავებს, მსაჯულთ და სხვა აუარებელ ქალაქის და სოფლის მოხელეებს...

ვინც საარჩევნო კამპანიას და ძალთა განწყობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებას მიუდგომელად თვალყურს ადევნებდა, მისთვის პრეზიდენტ რუზველტის არჩევა მოულოდნელი არ იყო, თუმცა ასეთ დიდ გამარჯვებას არავინ მოელოდა.

არასოდეს არ ყოფილა ასე ანტაგონისტურად საზოგადოება ორად გაყოფილი. წინად ერთმანეთს უპირდაპირდებოდენ დემოკრატები და რესპუბლიკანელები, ორივე ბურჟუაზიული პარტია (რესპუბლიკანელები მსხვილი ბურჟუაზიის პარტიაა), რომელთა შორის დიდი განსხვავება არ იყო. დემოკრატების პარტია უძველესია, დაარსდა 1791 წელს ჯეფერსონის მიერ, რომელიც არჩეულ იქნა პრეზიდენტად 1801 წელში. იმ დროიდან განუწყვეტლად დემოკრატების ხელში იყო მთავრობა 1861 წლამდე, როცა ახალი ოპოზიციის ბელადი ლინკოლნი იქნა არჩეული პრეზიდენტად. ეს ოპოზიცია იყო დღევანდელი რესპუბლიკანელების პარტია. იმ დროიდან მართველობა უფრო ხშირად რესპუბლიკანელების ხელში იყო, მხოლოდ ხუთჯერ იქნა არჩეული დემოკრატების პრეზიდენტი.

ახლა პრეზიდენტ რუზველტის რეფორმებმა ხალხი ააშფოთა და პირველჯერ ზევიდან კლასობრივი ინტერესები გაულვიძა. ამის გამო ორივე პარტიაში და მათ მიმდევრებში ერთგვარი გადაჯგუფება მოხდა. რუზველტს ჩამოშორდა ბევრი მისი ძველი თანამშრომელი და პარტიაში დამსახურებული პირი თავის მიმდევრებით, ვინც ხედავენ რუზველტის ნაბიჯებში პარტიის პროგრამის და ტრადიციის ღალატს. ესენი რუზველტის რეფორმებს შეებრძოლენ და ლანდონს დაუჭირეს მხარი.

ეს ჯეფერსონელი დემოკრატები (ასე ეძახიან თავის თავს; ჯეფერსონი პარტიის დამაარსებელი და პრეზიდენტი მომხრე იყო ცალკე შტატების უფლებების დაცვის და წინაამდეგი ცენტრალური მთავრობის გაძლიერების) რესპუბლიკანელებთან ერთად აბრალებენ რუზველტს კონსტიტუციის და თავის დაპირებების ღალატს; ცალკე შტატების უფლებების უზურპაციას; აუარებელ სახელმწიფო ფულის დახარჯვას და დავალიანებას (ახალი ვალი ოთხი წლის განმავლობაში 14 მილიარდი დოლარია, ომიდან დარჩენილთან ერთად 35 მილიარდი) მუშათა და დამქირავებელთა ერთმანეთზე გადაკიდებას; რადიკალიზმის წინაამდეგ ზომების მიუღებლობას და სხვ...

სამაგიეროდ, პრეზიდენტს მხარი დაუჭირეს იმ ფერმერებმა, ვინც მთავრობისგან შემწეობა მიიღეს ჭირნახულის ნაკლებ მოყვანისთვის და საქონლის შემცირებისათვის (დაახლოვებით ერთ მილიონ ნახევარმა ფერმერმა მიიღო ერთი მილიარდი და ნახევარი დოლარი). მხარი დაუჭირეს მუშების (ამერიკის მუშათა ფედერაციამ) და წვრილ მოხელე-მოსამსახურეების უმრავლესობამ, ვისაც პრეზიდენტის «ახალი აღორძინების» კანონმა სამუშაო დრო შეუმცირა და ჭირის მინიმუმი განუსაზღვრა. ამასთან პრეზიდენტს მისცა ხმა უმუშევართა დიდმა არმიამ, რომელნიც მთავრობის მიერ განგებ შექმნილ სამუშაოზე მუშაობენ.

დიდი წილი პრეზიდენტის გამარჯვებისა უნდა მიეწეროს მის პიროვნებას. პრეზიდენტი რუზველტი არის დაუღალავი ენერგიის კაცი, მიუხედავად მისი ავადმყოფურ მდგომარეობისა. 1921 წელში მას დამბლა დაეცა (ე. წ. ბავშვთა პარალიზი) და სიარული ან ფეხზე დგომა დაუხმარებლად არ შეუძლია. მიუხედავად ამისა მისი მუშაობის უნარი ამოუშრეტელია.

ამასთან, ის თავაზიანია, მომხიბლავი მოლაპარაკე. მეგობრული მოუბარი. თავის პრეზიდენტობის ოთხი წლის განმავლობაში ხშირად მართავდა საღამოობით რადიოს საშვალებით საუბარს ხალხთან. შემთხვევა არ გამოუშვია, რომ არ ემცნო და არ აეხსნა ყოველი თავისი ნაბიჯი: რას აკეთებდა, როგორ თანდათან ქვეყანა დეპრესიიდან გამოყავდა და სხვა...

როცა არჩევნები მოახლოვდა, მან გაათკეცა ენერგია და მიწვდა თითქმის ყოველ კუთხეს, სადაც მასსა ათასობით დიდი ენტუზიაზმით ხვდებოდა...

მოწინააამდეგე კანდიდატი ა. ლანდონი, რომელიც სხვათა შორის «ნამდვილ ამერიკულ ტრადიციულ ცხოვრების» დაბრუნებას პირდებოდა ქვეყანას—შედარებით სუსტი ფალავანი და პიროვნება გამოდგა, თუმცა საქმიანი, მაგრამ თითქმის უცნობი, არა ორატორი; მხოლოდ უფრო ინტელიგენტურ და შეძლებულ ფენების თანაგრძნობას და ხმას ღებულობდა, რომელთა რიცხვი სამყოფნი ვერ აღმოჩნდა.

სამ ნოემბერს პრეზიდენტის არჩევნებთან ერთად მოხდა არჩევნები ბევრ შტატში კონგრესის წევრების, შტატის გუბერნატორების და სხვა. უმრავლესობა დემოკრატებია.

თუ წინა წლებში წაგებული პარტია არჩევნების მერე ასე თუ ისე ბედს ურიგდებოდა და მხოლოდ პასიურ ბრძოლას აწარმოებდა, დღევანდელ გამწვავებულ პოლიტიკო-ეკონომიურ მდგომარეობაში მოსალოდნელია, რომ ბრძოლა აქტიურად გაგრძელდება. თუ რუზველტს პირველ წელიწადს კონგრესმა და ხალხმა თითქმის ერთ ხმად მხარი დაუჭირა, ახლა მას მოწინააღმდეგენი და შემომტევნი თავიდანვე გაუჩნდება.

საარჩევნო ანომალია და უწესობა წელს მეტი იყო ვიდრე სხვა დროს. კრების და სიტყვის თავისუფლება კანონია და დაურღვეველი, გამონაკლისი კი «სპორტია». მოვიხსენიებთ ორ ინციდენტს, რომელიც კომუნისტების კანდიდატს ერლი ბროვდერს შეემთხვა: ერთი ფლორიდაში, სადაც მას დანიშნულ მიტინგზე მოწინააღმდეგე უფრო მეტი დახვდა ვიდრე მომხრე და სიტყვა არ ათქმევინეს. პოლიციის დახმარებით სადგურზე მიიყვანეს და მატარებელში თავი შეაფარა.

მეორე იყო ქალაქ ტერე ჰუტეში (ინდიანას შტატში). აქ სხვათა შორის რამდენიმე ათასი ქარხნის მუშა ცხოვრობს და ბროვდერს სიტყვა უნდა წარმოეთქვა ადრე დანიშნულ კრებაზე და მასთან რადიოც უნდა ეხმარა. ჩამოსვლამდი პოლიციამ გააფრთხილა, რომ ნების დაურთველად მას ვერ ალაპარაკებდა (ნებართვა საერთოდ საჭირო არ არის), რადგან იმას წინედ იქ მუშების გაფიცვები და უწესობა იყო. დანიშნულ დროზე ე. ბროვდერი ჩამოვიდა, სა-

მი თანხლებით. პოლიციამ ოთხივე დააპატიმრა 25 საათით, როგორც ეგრედ წოდებული «უსახლკარო, მაწანწალები» (კანონის მიერ განსაზღვრული ფულის რაოდენობა არ ამოაჩნდათ). ბროვდერი ნიუორკში დაბრუნდა, ათასი დოლარის ბანკის ჩეკი იშოვა, ჯიბეში ჩაიდო და ისევ ტერე ჰუტეს დაუბრუნდა, სადაც მას დაჟინებით სიტყვა უნდა წარმოეთქვა. კრებისთვის დანიშნულ ალაგას რამდენიმე ასი კაცი დამპალი კვერცხების სროლით შეხვდა. პოლიცია დაეხმარა და ნიუორკში გაისტუმრა. ე. ბროვდერი ამით მაინც კმაყოფილი დარჩა, რადგან ინციდენტმა გაზეთები აალაპარაკა. კორესპონდენტების შეკითხვაზე შტატის გუბერნატორმა განაცხადა: «სამწუხარო ინციდენტი იყოვო».

—

«ნიუორკის ტაიმსის» კორესპონდენტი ჰეროლდი დენნი მოსკოვიდან იწერება: «საგარეო ოფისში აქ გადაჭრით განაცხადეს, რომ თუ მადრიდი აღებულ იქნა მეამბოხების მიერ და ახალი მთავრობა გამოცხადდა, საბჭოთა მთავრობა მას არ იცნობსო, რადგან კატალონია კიდევ რჩება თავისუფალიო. კიდევ მეტიც: რომ მადრიდის კანონიერი მთავრობა იძულებული იქნეს სრულებით დასტოვოს ისპანია, ჩვენ მაინც ვერ ვიცნობთ უზურპატორებსო. ასეთი მაგალითი ბევრია ისტორიაში და საერთაშორისო კანონმდებლობაშიო, როგორც მაგალითად ბელგიის მთავრობისა უკანასკნელ ომის დროსო» (საქართველოს მაგალითი რასაკვირველია არ მოუყვანიათ).

როგორ მოგწონთ ბუშმენების ფსიქოლოგია: «კარგია როცა მე ვართმევ სხვას ცოლსა, ავია როცა მე მართმევენო».

ნაური.

«კავკასიური ცივილიზაცია»

ამ რამდენიმე თვის წინად ფრანგულ ენაზე გამოვიდა ჰამბურგის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორის Art. Byhan-ის წიგნი La civilisation caucasienne, თარგმნილი ეთნოლოგიის ფრანგ პროფესორის Montandon-ის *), რომელიც თავის წინასიტყვაობასაც უძღვნის გამოცემას.

წიგნი, რომლის ნახევარი დათმობილი აქვს ქართველებს, დაწვრილებით აგვიწერს კავკასიელთა მატერიალურ და სულიერს ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებათ, ადათებს, თავისებურებას და შეიცავს ფრიად საინტერესო ეთნოგრაფიულ მასალებს, განსაკუთრებით უცხოელ მკითხველისათვის. მთარგმნელიც თავის წინასიტყვაობაში მეტად საყურადღებო აზრებს გამოსთქვამს კავკასიურ ცივილიზაციის შესახებ, მსოფლიო ისტორიის თვალსაზრისით.

ავტორი Byhan-ი თავში იძლევა კავკასიის გეოგრაფიულ პირობების აღწერას და შემდეგ ანაწილებს კავკასიის მკვიდრთ ტან-აგებულობის მიხედვით ოთხ კათეგორიად: წმინდა კავკასიური ტიპი, პონტოური, ირანული და ურალ-ალტაური. ურალ-ალტაურს ეკუთვნიან ყუმუხები. მთის თათრები, ყაბარდოელები, ავარელების ნაწილი, სამხრეთ-დასავლეთის თურქები, შერეულნი ქართველებში და სხ. ირანული ტიპი ბინადრობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ამას შეადგენენ სპარსელები, ტალიშები, ტატები, ქურთები და აზერბაიჯანელები. პონტოური ტიპი გვხდება საქართველოს სამხედრო გზის დასავლეთით ფოთამდე; ამ ტიპის წმინდა წარმომადგენელნი არიან ჩერქეზთა ზოგიერთი თემები, ხოლო ჩერქეზეთის დანარჩენ თემთა და აფხაზეთის, სამეგრელოს, სვანეთის და იმერეთის მკვიდრნი იძლევიან შერეულს ტიპს. წმინდა კავკასიურ ტიპს უკავია სამხრეთ-დასავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი, და სხ.

კავკასიურ ენების შესახებ Byhan-ი ამბობს, რომ ისინი განსხვავდებიან ევროპის და აზიის ყველა ენისაგან; მათ უნდა ჰქონდეთ ნათესავობა ბასკურსა (ბასხურსა) და სომხურთან. ალბად ქრისტეს დაბადებამდე მცირე აზიაში გაბატონებული ენები ეკუთვნოდენ კავკასიურ ენების ჯგუფს და ეტრუსკული—ეტრუსხული (პელასგური, პელასხური?), საფიქრებელია, ამ ჯგუფის ახლობელი იყო.

კავკასიის დღევანდელს მოსახლეობას შეადგენს ორი მთავარი ელემენტი: ერთს ეკუთვნიან წმინდა კავკასიელები, კავკასიის უძველესი მკვიდრნი, მეორე—შემდეგ სხვადასხვა დროს გადმოსახლებულნი და შემოხიზნულნი. წმინდა კავკასიელებად Byhan-ი სთვლის სამ ჯგუფს: 1) ქართველები ყველა თავის შტოით; 2) ჩრდილო-დასავლეთის ჯგუფი—ჩერქეზები, რომლებიც თავიანთ თავს ადიგეს უწოდებენ, ქართველები კი ძველად—ჯიქებს ეძახდენ. ჩერქეზები წინად მრავალრიცხოვან მოსახლეობას წარმოადგენდენ, მაგრამ უმეტესობა შამილის დამარცხების შემდეგ ოსმალეთში გადასახლდა. ავტორი ამ ჯგუფს მიაწერს აფხაზებსაც (აფსუა აფხაზურად, ბერძნულად აბასგები—აბასხები); 3) აღმოსავლეთის ჯგუფი—დაღესტანის და ჩაჩნეთის მკვიდრნი: ლესგები (ლესხები, ლასხები) და ჩაჩნები. ჩეჩნების მთავარი ტომები არიან საკუთრივ ჩაჩნები, მთის ჩაჩნები, ინგუშები, ქისტები. ლესგებს (ქართულად ლეკებს) ეკუთვნიან: ავარები, ლაკები ან ყაზიყუმუხელები, დარგუელები (დარღოელები), კურელები, ანდი-დიდოელები.

არაწმინდა კავკასიელები, მერმე ჩამოსახლებულები არიან: 1) ინდოევროპიული მოდგმის—ოსები, სომხები, ქურთები, ტატები (75 ათასი, კასპიის ნაპირად ბაქოსა და ყუბას შუა), თალიშები (90 ათასი, ლენქორანის გარშემო), სპარსელები; 2) სემიტური მოდგმის—დაღესტან-ჩაჩნეთის და საქართველოს ებრაელები, და 3) თურანული (ან თურქ-თათრული) მოდგმის—აზერბაიჯანელები (ეკუთვნიან სპარსულ კულტურას), თურქები (ეკუთვნიან ოსმალურ-ქურთულ კულტურას), ყუმუხები (ბინადრობენ კასპიის ნაპირად დერბენტსა და პეტროვსკს შუა და მოზდოკის მახლობლად), ყარაჩაელები (ქართულად ყარაჯიქელები) და თაულუ (ორივე ჩრდილო-კავკასიაში, სვანეთის და აფხაზეთის საზღვარზე), ნოღაელები.

*) Payot, Paris.

Byhan-ი იძლევა თავის წიგნში თითოეული კავკასიელი ერის თუ ტომის ფიზიკური ტიპის აღწერას, მათი ტანსაცმელის, სამკაულების, იარაღების, სახლის და მის მოწყობილობის, ავეჯის, საკრავი ინსტრუმენტების, მუშაობის, ნადირობის, მეურნეობის, ხელოსნობის, სოციალური ურთიერთობის, ქორწინების, დასაფლავების, ქალის და კაცის შრომის, სასმელ საჭმელის, სათამაშოების, სამართალის, სარწმუნოების და ცრუ-მორწმუნოების, ძველი წარმართობის ნაშთების. როგორც უკვე იყო ნათქვამი, მეტი ყურადღება აქვს მიქცეული ქართველების ცხოვრების აღწერას—ცალკეა აწერილი ბარის ქართველობა და ცალკე მთის—სვანები და თუშ-ფშავ-ხევსურები. მოკლედ მოყავს ისტორიული ცნობებიც. უნდა ითქვას, საერთოდ მისი აღწერილობა სინამდვილეს გადმოგვცემს. ქართველ ერს ამ სიტყვებით ახასიათებს: «ქართველები არიან ნიჭიერნი, რაინდნი და მამაცნი, ამაყნი და გულწრფელნი, მხიარულნი და ცოცხალნი» (გვ. 40). საკმაოდ ფართოდ ეხება ავტორი ჩერქეზ-აფხაზების და ლეკებ-ჩაჩნების ცხოვრების წესებს და ხნე-ჩვეულებას, აგრეთვე ოსების, მთიელ ებრაელების და თურანულ მოდგმის ზოგიერთი ტომისას.

Byhan-ი, როგორც ეთნოგრაფი, მხოლოდ აგვიწერს ფაქტებს, სოციოლოგიურს, საერთო დასკვნებს არ აკეთებს, მაგრამ მკითხველი უნებურად მიაქცევს ყურადღებას, თუ რა ბევრი ერთობა და მსგავსებაა, განსაკუთრებით წმინდა კავკასიელების ადათებსა და წესებში. აღსანიშნავია დიდი ნათესავობა ქართველების და ჩრდილო-კავკასიელების, რომელთაც ყოველთვის მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან ორი გზით უმთავრესად: აფხაზეთით და ფშავ-ხევსურეთით. ძვირფას დოკუმენტაციას იძლევა ამ ერების და ტომების ძველი წარმართული სარწმუნოების ნაშთები: ცის მნათობთა, ხეების, წინაპართა სულების თაყვანისცემა. ქრისტიანობა საბოლოოდ მოისპო ჩერქეზეთსა და ლეკეთ ჩაჩნეთში მხოლოდ მე-18 საუკუნეში, იქ დღესაც ბევრს შეხვდებით ეკლესიების ნანგრევებს, აქა-იქ მკვიდრნი ზოგს ქრისტიანულ დღესასწაულსაც უქმობენ. ოსეთის ეკლესიების ნანგრევების შესახებ ხალხში ისეთი გადმოცემაა, რომ თითქოს თამარის მეფობის დროს იყოს აგებული ყველა. შენახულია ზოგიერთი სიტყვა, მაგალ., ჩაჩნეთში «ჯოჯახეთ» (ქართული ჯოჯოხეთი), «კხირუდე» (ქართული კვირადღე), რომელნიც ცხადად მოწმობენ, თუ რა ახლო დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოს ჩრდილო კავკასიასთან და რა დიდი იყო მისი კულტურული და პოლიტიკური გავლენა. ქრისტიანობა ხომ უმთავრესად საქართველოს საშუალებით იყო გავრცელებული ჩრდილო კავკასიელთა შორის.

უკვე ვთქვით, რომ Byhan-ის წიგნს უძღვის მთარგმელის საინტერესო წინასიტყვაობა, რომელიც მოუწოდებს ევროპიელ მეცნიერებს, ყურადღებით და დაკვირვებით შეისწავლონ კავკასია. Montandon-ის (მთარგმნელის) აზრით, წმინდა კავკასიელები (ძველი კავკასიელები ან პალეო-კავკასიელები) იპყრობენ ეთნოლოგის ღრმა პატივისცემას და ყურადღებას, ვინაიდგან ეს კავკასიელები, ბასკებსა (ბასხებსა) და შეიძლება, ძველ ეტრუსკებთან (ეტრუსხებთან) ერთად წარმოადგენენ იმ დიდი ეთნიური ოჯახის ნაშთს, რომელიც მოსახლეობდა ევროპაში, ვიდრე აქ მოვიდოდენ ინდო-ევროპიელები. დღევანდელი კავკასიური ცივილიზაციის გაცნობა საშუალებას მოგვცემს დაახლოვებითი წარმოდგენა ვიქონიოთ ევროპის უძველეს ცივილიზაციაზე. Montandon-ი ამბობს, რომ კავკასიელებმა ორი დიდი ეთნიური სამყაროს შემოტევა განიცადეს - ერთი ინდო-ევროპიელების, განსაკუთრებით სამხრეთიდან (ირანი არმენია-ანატოლია) და მეორე—თურანელ-მონგოლებისაგან, ჯერ ჩრდილოეთიდან და მერე სამხრეთიდანაც, როცა თურქები გაბატონდენ კავკასიის სამხრეთ ნაწილში. მაგრამ ვერც ინდო-ევროპიულმა და ვერც თურან-მონგოლურმა ეთნიურობამ ვერ მოსპო კავკასიური. ხოლო კავკასიამ განიცადა ოთხი დიდი გავლენა, რომელთაც ისე ღრმად შეარყიეს მისი ელემენტები, რომ ხანდახან ძნელი გამოსარჩევია, რომელია კავკასიური და რომელი შემორეული. ეს ოთხი გავლენა იყო: ქრისტიანობა, ისლამი, რუსების დაპყრობა მე-19 საუკ. და ბოლშევიზმი. პირველი სამი გავლენა ასე თუ ისე მაინც პატივით ეპყრობოდა კავკასიის ეთნიურ ორგანიზაციას და ადათებს, ხოლო ბოლშევიზმი ძლიერ ემუქრება და თუ მისი ბატონობა გაგრძელდა, შესაძლებელია კავკასიის მთელი თავისებურობის და სახის წაშლა...

ჩვენ გავაცანით მკითხველს მოკლედ წიგნის შინაარსი და ხაზი გავუსვით სოგიერთს მთავარ დებულებას. წიგნში დასმული საკითხები მოითხოვენ ვრცელს და კიდევ უფრო გაღრმავებულ შესწავლას. ეს ყველაზე უკეთესად შეუძლიათ თვით კავკასიელ მეცნიერებს, უპირველესად ქართველებს, რომელთაც გაცილებით მეტი მასალის გამოყენების საშუალება აქვთ. კავკასია იძლევა, ჯერ თითქმის ხელუხლებელს, ფრიად მდიდარს მასალას, რომელთა გამოკვლევა და შეფასება გააშუქებდა საერთოდ მრავალს საეთნოგრაფიო—სოციოლოგიურს, ისტორიულს, ლინგვისტიკურს საგანს. ევროპის მეცნიერება აქამდის ჯეროვნად არ დაინტერესებულა კავკასიელ ერებითა და ტომებით. დარწმუნებული ვართ, ეს მდგომარეობა მალე შეიცვლება და Byhan-ის და Montandon-ის კვალს ბევრი გაყვება.

«კავკასიურ ცივილიზაციას» დართული აქვს ოთხმოცამდე სურათი ტექსტში და ცალკე ფურცლებზე, სამი რუკა და აგრეთვე ბიბლიოგრაფია გამოკვლევებისა გერმანულ-ფრანგულ ინგლისურ ენებზე. მათში ოთხი ქართველიცაა მოხსენებული (ნ. მარი, ფ. გოგიჩაიშვილი, გ. ნიორაძე და მ. წერეთელი).

ს. ფირცხალავა.

ბიბლიოგრაფია

ინდო ინასარი. ჩრდილი ერთი სინამდვილისა. რომანი. 1936 წ. პარიზი.

კიდევ ერთი ქართული წიგნი გამოვიდა აქ, პარიზში; ჩვენ დარწმუნებული ვართ, იგი სიამოვნებით იქნება მიღებული ჩვენს ემიგრანტულ წრეებში. ამ წიგნის წაკითხვა, ალბად, გამოიწვევს აზრთა გაცვლა-გამოცვლის საჭიროებას, რადგან იგი წინ გვიყენებს მრავალ კითხვებს, და ყოველ შემთხვევაში, შეუმჩნევლად არ დარჩება.

თუ, საზოგადოდ, ის წიგნია კარგი, რომელიც ადამიანს ჩააფიქრებს, ეს, ბ-ნ ინასარის რომანიც, კარგ წიგნად ჩაითვლება.

სულ პირველად ყურადღებას იპყრობს კარგი ენა რომანისა, თავისუფალი ყოველი არა ქართული ფორმებისაგან, რუსიციზმებისა და სხვათა იზმებისაგან. წიგნს ეს დიდ ღირსებად უნდა ჩაეთვალოს, რადგან სიმართლე უნდა ითქვას, კარგი ქართულის ენით წერა ყოველთვის არა ხდება ხოლმე ჩვენს მწერლობაში. ვფიქრობთ ეს დამსახურება აიხსნება თვით ავტორის პიროვნებით, განსაკუთრებით იმით, რომ იგი უშუალოდ ხალხის შვილია, აღზდილი თავანკარა ქართულ ოჯახში (წაიკითხეთ მისი წინასიტყვაობა), და სწავლა მიღებული იმ ქართულ სკოლა უნივერსიტეტში, რომელიც აღმოცენდა ჩვენს სამშობლოში ჩვენი დამოუკიდებლობის დროს, თუ ცოტა ადრე... ავტორი არა კმარობს მარტო იმას, რომ სწორე ქართული მეტყველობით გვეგაასება, იგი, სადაც სიტყვა შემოაკლდება ხოლმე აზრის გამოსათქმელად, თვით იგონებს ახალ სიტყვას. მაგრამ ეს სიტყვაც ნამდვილ ქართულ ფორმით არის მოცემული.

სიუჟეტი ბ-ნ ინასარის რომანისა გვისურათებს იმ ტრაღიკულ მოვლენებს, თავი რომ იჩინა ჩვენს ხალხში რუსეთის დიდი რევოლუციის თანა მოყოლილ ამბების შემდეგ. მხატვრულად აწერილია ჩვენი ერის ბოლშევიკების მიერ მორალური, თუ ეკონომიური დაწიოკება-აკლება. სიუჟეტის აკინძვა ავტორს თავისებურ ფორმებში და «ხერხებში» აქვს მოცემული. ვისაც ეს წიგნი ჯერ არ წაუკითხავს, ჩვენ ვურჩევდით მას კითხვა თვით ავტორის შესავალ გვერდიდან დაიწყოს, რადგან ერთი მომქმედი პირთაგანი რომანისა უთუოდ თვით ავტორიც არის. და ეს არა იმიტომ, რომ მწერლის პიროვნება საზოგადოთ სჩანს ხოლმე ამა თუ იმ ტიპის ჩამოყალიბებაში და ეს ხომ ბუნებრივია ავტორისათვის. არა, აქ, ამ რომანში, ავტორი უშუალოდ შემოდის თავისი პიროვნებით, აზრით, შეხედულობით. იგი თითქო შიშობსო, ვაი თუ მკითხველი ვერ მიხვდეს, რა ამბებიც ხდება გარშემო და ხანდახან გულიდან ამონაკვესით, ხან სენტეციებით თუ ფილოსოფიური ქადაგით, სწრთვნის მკითხველს, ყოველ შემთხვევაში ცდილობს მისი ყურადღების სიმები თავისებურად, როგორც ეს ავტორს უნდა, ისე მომართოს და ააწყოს. არ ვიცით, ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა რამდენად მოუწონებს ავტორს ამნაირს მისვლას და ხერხს სიუჟეტის გადამლაში. თითქოს სწორედ ეს ხერხი უნდა უშლიდეს მკითხველს, სავსებით მიენდოს იმ განცდებს, რომელიც ამ რომანში გადაშლილი ამბების განვითარებით არიან გამოწვეული. მაგრამ თანამედროვე ლიტერატურაში ამნაირი გაფორმება სიუჟეტის უფრო და უფრო ხშირად ხვდება მკითხველს და თუ ეს ნაკლია, იგი ჩვენი ავტორის მიერ არ არის პირველად შემოღებული, და თუ იგი ღირსებაა თნამედროვე რომანებისა, ეს ღირსებაც შეუთვისებია ჩვენს ახალგაზდა მწერალს. წიგნში განსაკუთრებით იპყრობს მკითხველის ყურადღებას ორი დიდი ფენი ჩვენი საზოგადოებისა—გლეხკაცობა და უნივერსიტეტის წრეები. ორთავ ფენას ავტორი კარგად იცნობს, რადგან თვით იქიდან არის გამოსული. საინტერესოა ის მისვლა გლეხების მხატვრულად დასურათებაში, რომელიც ავტორს შეუთვისებია. აქამდე მეტ წილად, ჩვენი გლეხობა აწერილი იყო არა იმ ავტორებისაგან, რომელნიც თვით გლეხობას ეკუთვნოდენ. ამ შემთხვევაში ხშირად გლეხის ტიპი როგორღაც «დაშაქრული» გამოდიოდა, იყო გადამეტებული იდეალიზაცია გლეხისა და მკითხველიც უნდობლად ეკიდებოდა ლიტერატურაში გამოყვანილ ხალხურ ტიპებს. ვგონებ არ ვცდებით, თუ ვიტყვით, რომ იშვიათად ცოცხალი გლეხის ტიპი მოცემულია ილიას «ოთარაანთ ქვრივში». სწორედ ეს ქვრივია დიდი ილიასაგან ნამდვილად დასურათებული და ამიტომ ქართველი მკითხველიც განსაკუთრებით სიყვარულით ეკიდება მას. სამაგიეროდ იმავე ილიას მოთხრობის გიორგი უკვე აღარ ატარებს ნატურალურ ფერებს. საკვირველია, რომ ბ-ნ ინასარის რომანში კვლავ ცოცხლობს ოთარაანთ ქვრივი. მისი ბია—გაგრძელებაა ოთარაანთ ქვრივის ტიპისა. მკითხველი დიდის სიყვარულით კითხულობს იმ ფურცლებს, სადაც ბია, ეს ქართული ოჯახის ბურჯი, დედა, გამოყვანილია. კარგი მხარე გლეხობის აწერაში ისიც არის, რომ ავტორი არ ერიდება დადებითი ტიპების გამოყვანის გვერდით უარყოფითი ტიპებიც მოიხსენიოს. ასეთივე მისვლაა სტუდენტობის აწერაშიც. სპეტაკი, მშვენიერი, გმირ ოტარიდის ან ტაბატანასთან ერთად გამოყვანილია ყოვლად დაცემული პიროვნება, ჩეკისტი გუბადი, ან ნახევრად ტირანი, ნახევრად ლაჩარი სხვა სტუდენტები. ეს დიდი ღირსებაა წიგნისა და ამ წონასწორობას მკითხველი უთუოდ მოუწონებს პატივცემულ ავტორს. თუ ეს რომანი პირველი ცდაა ავტორისა და ამით უნდა აიხსნას მისი ზოგი რამ მეტ-ნაკლებობა, სამაგიეროდ მთლად წიგნი იმედის მომცემია და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბ-ნ ინდო ინასარის მომავალი ნაშრომნიც დიდის ყურადღებით და ხალისით იქნება მიღებული ქართველი საზოგადოების მიერ.

გ. ჟ.

---

6 დეკემბერს 3 საათზე, 61 რიუ მადამ 61, სამ. ფირცხალავა წაიკითხავს ისტორიულ ესკისებს თ ა მ ა რ მ ე ფ ე: ტახტზე ასვლა—თამარი და რუსი-მიჯნური—დარბაზობა—ომი—მიცვალება.

Leuville-sur-Orge. — *Imprimerie de Leuville.* Le Gérant : A. LARGILLIÈRE.